# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 13 აგვისტო 2003 №150 (1921) | ფასი 50 თეთრი


# ტორპედო-სიონის მგზავრული

## გაფრენილი ოცნებები

### სად მიჰყავართ მატარებლის ლიანდაგს




**ქუთაისი — ლანსი**

ქართული საკლუბო ფეხბურთის ბოლო იმედი ევროპისკენ დაიძრა. გუშინ ბოლნისში „სიონმა" შეკრა ბარგი, ქუთაისში — „ტორპედომ". რა დიდი მტკიცება უნდა იმას, რომ ჩვენი ვიცე-ჩემპიონი ფრანგული „ლანსის" ჯეროვან მეტოქედ ვერ გამოდგება. ვისაც ორმატჩიან დუელში ქუთაისელთა წარმატების სჯერა, გამოუსწორებელ ოპტიმისტთა პარტიაში ჩაეწეროს.

სლოვაკური „პუხოვი" კი ეგებ ბოლნისელებთან ფავორიტიც იყოს, მაგრამ „სიონივით" პატარა გუნდია და ამათ ჯახში კაცმა არა იცის, ბურთი საით შეგორდება.

სკანდალებმოძალებული „ტორპედო" ჩუმად გაფრინდა ქუთაისიდან. რიონისპირელები პრაღის გავლით პარიზში ჩავიდოდნენ, იქიდან კი ლანსს ეწვეოდნენ. „სიონი" თბილისის ხმაურიან რკინიგზის სადგურში შეიკრიბა. ბოლნისელებმა 46 ქომაგიც დაიმგზავრეს ბათუმისკენ. ჩარტერული რეისით ქვემოქართლელები დღეს ბრატისლავის გავლით პუხოვში ჩავლენ და საღამოს იქაურ მწვანეს გათელავენ.

**ბოლნისი — პუხოვი**

იხილეთ მესამე გვერდი



პაშინგი — შალკე 0:2. ლევან კობიაშვილი ავსტრიელთათვის გადაულახავი ზღუდე გამოდგა

# პაშინგმა კარგი ქართველი გაიცნო

„ვიტ ჯორჯიას" ჯავრი „პაშინგზე" ლევან კობიაშვილმა იყარა. მისმა „შალკემ" ინტერტოტოს თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში სტუმრად 2:0 დაამარცხა ავსტრიელები და რა უნდა მოხდეს, ჰაინკესის ბიჭები უეფას თასისთვის ბრძოლაში არ ჩაებან.

კობიაშვილი „შალკეს" გოლით ვერ შეეწია, მაგრამ მთელი 90 წუთი თავი არ დაუზოგავს. აქვე ვთქვათ, რომ გუშინ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის სამი მატჩიც გაიმართა.

იხილეთ მეორე გვერდი



დინამო (კიევი) — დინამო (ზაგრები) 3:1. მასპინძელთა ბრაზილიელ მორის ალესანდროს ხორვატმა ედვინ მუიჩინმა ვერ დაუფარა




გრაცერი — აიაქსი. სტივენ პიენაარმა (მარცხნივ) და სტუმრებმა მასპინძლებს ბევრიც ვერაფერი დააკლეს



მილანი — იუვენტუსი. სერჟინიოს (მარცხნივ) „მილანმა" რუბენ ოლივერას „იუვენტუსთან" წლეულს უკვე მეორედ წააგო

## TIM CUP. სამთა მინი-ტურნირი (ანკონაში)

**მილანი 0:1 იუვენტუსი**

0:1 აპია (30)
მილანი: დიდა, შიმიჩი, როკე ჟუნიორი, მალდინი, პანკარო, ამბროზინი, რედონდო, ზეედორფი, რუი კოშტა, სერჟინიო, ინძაგი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, მონტერო, იულიანო, პესოტო, აპია, კონტე, მარესკა, ნედვედი, დი ვაიო, ოლივერა
გაფრთხილება: ამბროზინი
მსაჯი: ნუჩინი

**მილანი 0:1 ინტერი**

0:1 კალონი (5)
მილანი: აბიატი, კაფუ, ნესტა, ლაურსენი, კალაძე, ბროკი, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, ბორიელო, ინძაგი
ინტერი: ტოლდო, ჰელვეგი, კორდობა (ადანი 18), მატერაცი, კოკო (პასკუალე 20), ლუსიანო, ხ. ძანეტი, ლამუში, ვან დერ მეიდე, ვიერი, კალონი
გაფრთხილება: კალაძე, ვიერი
მსაჯი: დონდარინი

**იუვენტუსი 0:1 ინტერი**

0:1 კრესპო (3)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ფერარა, მონტერო (დი ვაიო 16), ძამბროტა, კამორანეზი, ტაკინარდი, ტუდორი, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო
ინტერი: ტოლდო, ჰელვეგი (პოტენცა 27), ადანი, მატერაცი, პასკუალე, ლუსიანო (ოკაკა 23), ხ. ძანეტი, ლამუში, ვან დერ მეიდე (რებეკი 30), ვიერი (რეკობა 33), კრესპო
მსაჯი: მორგანტი

## ელენე არველაძე-ამსტერდამელი



*შოთა არველაძის ოჯახში მატებაა – საქართველოს ნაკრებისა და „რეინჯერსის" შემტევს გუშინ ამსტერდამში გოგონა შეეძინა – ცქნაფა ელენე შოთას და თამუნას მეორე ბავშვია, პატარა გიორგისთვის კი პირველი დაიკო.*

*სარბიელელები შოთას ვულოცავთ ელენეს დაბადებას და ოჯახური ბედნიერების გარდა ბევრი გოლის გატანასაც ვუსურვებთ*

## ჩემპიონთა ლიგა

### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**დინამო** (უკრაინა) 3:1 **დინამო** (ხორვატია)
1:0 ფიოდოროვი (33), 2:0 ლეკო (39), 2:1 კრანიჩარი (41), 3:1 ო. გუსევი (82)

**გრაცერი** (ავსტრია) 1:1 **აიაქსი** (ჰოლანდია)
1:0 პოგატეცი (56), 1:1 სნეიდერი (79)

**სელტა** (ესპანეთი) 3:0 **სლავია** (ჩეხეთი)
1:0 მოსტოვოი (18), 2:0 ხესული (49), 3:0 ედუ (56)

## უეფას თასი

### საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**ჰაკა** (ფინეთი) 2:1 **ჰაიდუკი** (ხორვატია)
**ლა ვალეტა** (მალტა) 0:2 **ქსამაქსი** (შვეიცარია)
**სარაევო** (ბოსნია) 1:1 **სარტიდი** (სერბეთი)

## ინტერტოტოს თასი 2003

### ფინალი. პირველი მატჩები

**პაშინგი** (ავსტრია) 0:2 **შალკე** (გერმანია)
0:1 ალტინტოპი (19), 0:2 აგალი (47)
შალკე: როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, მატელანი (კლასენერი 68), ვან კერკჰოვენი, ასამოა, ალტინტოპი, პოულსენი, კობიაშვილი, სანდი (როდრიგესი 76), აგალი
გაფრთხილება: ალტინტოპი, მატელანი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
მსაჯი: კოსიმო ბოლონინო (იტალია)
6 000 მაყურებელი

**ჰერენვენი** (ჰოლანდია) 1:2 **ვილიარეალი** (ესპანეთი)
0:1 კალეხა (13), 1:1 ბალესტეროსი (25ს.კ.), 1:2 ვიქტორი (44)

**პერუჯა** (იტალია) 1:0 **ვოლფსბურგი** (გერმანია)
1:0 ბოტროიდი (39)

## ინგლისი

### კონფერენს ლიგა. II ტური

ბარტონი 0:1 შრიუსბერი
ჩესტერი 1:0 ტემფორთი
დაგენემი 1:2 სტივენეიჯი
ფარნბორო 1:1 ბარნეტი
ჰალიფაქსი 1:0 მორეკემბი
ჰერეფორდი 5:1 ფორესტ გრინი
მარგატი 1:2 ალდერშოტი
ნორსვიჩი 1:1 სკარბორო
ტელფორდი 2:0 ექსეტერი
უოკინგი 3:2 გრავესენდი
აკრინგტონი — ლეიფი დღეს

### ლიგის თასი. I ეტაპი

სკანთორპი 2:1 ოლდემი
ბარნსლი 1:2 ბლეკპული
ბრედფორდი 0:0(პენ. 3:5) დარლინგტონი
როვერსი 0:1 ბრაიტონი
კემბრიჯი 1:2 ჯილინგემი
კარდიფი 4:1 ლეიტონი
ჩელტენემი 1:2 ქუინზ პარკი
ჩესტერფილდი 0:0(პენ. 2:3) ბარნლი
კოლჩესტერი 2:1 პლიმუთი
კრიუ 2:0 რედსემი
დონკასტერი 3:2 გრიმსბი
ჰადერსფილდი 2:1 დერბი ქაუნთი
ლინკოლნი 0:1 სტოკპორტი
ლუტონი 4:1 იოვილი
მაკლსფილდი 1:2 შეფილდ იუნ.
მილუოლი 0:1 ოქსფორდი
ნორთჰემპტონი 1:0 ნორვიჩი
პორტ ვეილი 0:0(პენ. 2:3) ნოტინგემი
პრესტონი 0:0(პენ. 6:7) ნოტსი
როტერჰემი 2:1 იორკი
საუთენდი 2:3 სუინდონი
ტორკი 1:1დ.დ.(პენ. 1:3, 1:1) კრ. პალასი
ტრანმერი 1:0 ბერი
უოლსოლი 2:1 კარლაილი
უოტფორდი 1:0დ.დ.(0:0) ბორნმუთი
ვესტ ბრომვიჩი 4:0 ბრენტფორდი
უიგანი 2:0 ჰალი
უიკომბი 2:0 უიმბლდონი

## შოტლანდია

### CHALLENGECUP II ეტაპი

ბრეჩინი 3:1 სტირლინგი
კლაიდი 0:1 სენტ ჯონსტონი
ფორფარი 4:2დ.დ.(2:2) ალბიონი
გრინოკი 1:2 ერდრი
როსი 5:0 დამბარტონი
პიტერჰედი 1:2 ინვერნესი
რეითი 2:0 სტრანრარი
სენტ მირენი 2:1 ბერვიკი

## გერმანია

### სამხრეთ რეგიონალლიგა I ტურის მატჩი

აალენი 3:1 შვაინფურტი

## შვედეთი

### ალსვენსკა. XVII ტური

ჰამარბი 5:0 სუნდსვალი

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა 1 ტურის მატჩი

სინოტი 2:2 პლზენი

საქართველოს პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯების დონის ამაღლების მიზნით გადაწყვიტა: ყოველი ტურის შემდეგ მატჩებზე მივლინებული ინსპექტორების ნიშნების მიხედვით და უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდების მთავარი მწვრთნელების აზრის გათვალისწინებით შეაფასოს არბიტრები და თანამსაჯები 5-ბალიანი სისტემით.

3 საუკეთესო არბიტრის და 3 საუკეთესო თანამსაჯის გამოსავლენად შეიკრიბება 3-კაციანი კომისია, რომელშიც შევლენ ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო და საშეჯიბრო კომიტეტის წევრი შოთა ბაქრაძე.

მსაჯების შეფასების ცხრილი გამოქვეყნდება პრესაში I-II წრეების და ექვსეულების მატჩების დასრულებსი შემდეგ.

სამი საუკეთესო არბიტრი და სამი საუკეთესო თანამსაჯი დაჯილდოვდება სოლიდური ფულადი პრემიებით.

მსაჯთა შეფასება დაიწყება მეოთხე ტურიდან.

*საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგა*

*ხვალ ბოლნისურ „სიონს“ ისტორიული მატჩი აქვს. ქვემოქართლელები უეფას თასის პირველ ეტაპზე სლოვაკეთში „პუხოვს“ შეხვდებიან. „სიონი“ გუშინ თბილისის რკინიგზის სადგურიდან დაიძრა სლოვაკეთისკენ. გუნდი დღეს დილით ბათუმიდან ჩარტერული რეისით გადაფრინდება ბრატისლავაში. იქიდან პუხოვამდე 150 კილომეტრია. „სიონი“ ამ საღამოს პუხოვში ივარჯიშებს, ხვალ კი მატჩია*

UEFA CUP

# სად მიჰქავხართ მატარებლის ლიანდაგს?
## სიონს ცამეტის და პირველი ტაიმის არ ეშინია



თემურ მახარაძემ „პუხოვი“ გაიცნო და შეგირდებსაც გააცნო

**გუშინ** რკინიგზის სადგურზე ბოლნისელთა გარეშეც ხალხმრავლობა იყო. სიონელები დათქმულ დროს შეიკრიბნენ და თბილისი-ქობულეთის მატარებლის ერთბაშად ორი ვაგონი დაიკავეს.

მე-13 ვაგონის მე-13 კუპე შეხვდა თავად 13 ნომერ იური გაბისკირიას. ბედნიერი დამთხვევაა, უთუოდ გაგვიმართლებსო, თქვა ქვემოქართლელთა ნახევარმცველმა. უხასიათობას არც სხვები უჩიოდნენ, საპასუხო მატჩი შინ გვაქვს და ვეცდებით საჭირო ანგარიშით დავბრუნდეთ სლოვაკეთიდანო.

სხვებზე ჩაფიქრებული თემურ მახარაძე გახლდათ, „სიონის“ მწვრთნელმა იცის, რომ ურთულესი მატჩი ელის. „პუხოვი“ საშუალო ევროპული დონის გამართული გუნდია. მახარაძეს საშუალება ჰქონდა მეტოქის მატჩის ვიდეოფირი ენახა და მწვრთნელი თავად დარწმუნდა პუხოველთა შესაძლებლობებში.

„სიონის“ მეტოქემ სლოვაკეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში შინ „ტრენჩინი“ დაამარცხა. სლოვაკებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ გამორჩევით კარგად თამაშობენ მეორე ტაიმს. „პუხოვმა“ წინა სამი თამაშის მსგავსად ამჯერადაც მატჩის მეორე ნახევარში იხეირა. „განსაკუთრებით დიდი ყურადღება მეორე ტაიმში გვმართებს. „პუხოვს“ სწორედ მეორე 45 წუთეულში გააქვს გოლები, ეს კი იმის მანიშნებელია, რომ გუნდი ფიზიკურად კარგადაა მომზადებული“ — თქვა გამგზავრების წინ მახარაძემ.

ქვემოქართლელები 18 ფეხბურთელით ეწვევიან სლოვაკეთს. ბოლო მომენტში განაცხადში ცვლილება მოხდა. „სიონი“ გიორგი შენგელიამ დატოვა მოულოდნელად. ეს ფეხბურთელი კარგად მოერგო ქვემოქართლულ კლუბს, თუმც ორიოდე დღის წინ ბულგარეთში კარიერის გაგრძელების შანსი გამოუჩნდა და გუნდი დატოვა. მის ნაცვლად ბოლნისელებმა ექსლოკომოტიველი აქვსენტი გილაური იახლეს. შინ დარჩა „სიონის“ მცველი გიორგი ირემაშვილი, ამ ფეხბურთელს ჯერაც არ მოუშუშებია ფეხი და ტრავმის გამო „პუხოვთან“ საპასუხო მატჩსაც გამოტოვებს.

ზემოთ თბილისი — ქობულეთის მატარებლის ორი ვაგონი ვახსენეთ, ერთი გუნდის გასამგზავრებლად მეტისმეტი რომ ჩანს, ცხადია, მაგრამ საქმე ის არის, „სიონს“ სლოვაკეთისკენ გულშემატკივართა 46-კაციანი ჯგუფი გაჰყვა. სლოვაკეთში „სიონს“ კლუბის პრეზიდენტი ზურაბ ლობჟანიძე და ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძეც გაამხნევებენ. ბოლნისელ გულშემატკივრებს პუხოვში ბრატისლავაში მცხოვრები ქართველთა ოცკაციანი ჯგუფიც შეუერთდება.

თბილისის დროით „პუხოვი“ — „სიონი“ 20 საათზე დაიწყება.

**ბაათა ქვანტალიანი**



გიორგი შენგელია „სიონს“ ბულგარეთში გაექცა

## სიონი პუხოვში

*მეკარეები: თემურ ვოლკოვი, ავთანდილ ლაბაძე*
*მცველები: ზაზა კვეკვესკირი, გელა ფანჩულიძე, დავით ბაქრაძე, დავით ჭიჭველიშვილი, შალვა ხუჯაძე, აქვსენტი გილაური, ვალტერ გურჩა*
*ნახევარმცველები: იური გაბისკირია, კონსტანტინე დარსანია, კახა დაუშვილი, გიორგი გაბიდაური, ალექსანდრე კოშკაძე*
*თავდამსხმელები: ჰამლეტ წივწივაძე, ბორის გონჩაროვი, შალვა ისიანი, ბესიკ შენგელია*



*თბილისის „დინამო“ ყოველთვის ცოცხალი, აქტუალური თემაა და ახლაც ასეა...*

*„დინამომ“ ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში სტუმრად წააგო „კოლხეთთან“ — დინამოელებს ფოთში ადრეც არაერთხელ წაუგიათ, მაგრამ „ტირანას“ შემდეგ „დინამოს“ წაფორხილება ერთი-ორად ყვირის...*

*ალეკო გოგობერიშვილი „დინამოს“ ერთ-ერთი წარმართველი მოთამაშეა და გუნდის ავან-ჩავანზე სალაპარაკოდ ამჯერად მას მივმართეთ...*

## ალეკო გოგობერიშვილი:
# უარყოფითმა აურამ გაიარა

**— რას დააბრალებდი „კოლხეთთან“ წაგებას?**

— ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. ფოთელებს გარჯას არ ვუკარგავ, მაგრამ ორჯერ დაარტყეს და ორივეჯერ გაგვიტანეს. მერე კი მეტოქე მთელი გუნდით ჩაჯდა დაცვაში. ჩვენ ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ უარყოფითი შედეგი მოვიმკეთ.

**— იმანაც ხომ არ ითამაშა თავისი როლი, რომ „დინამოს“ ტრადიციულად უჭირს ფოთში თამაში?**

— „კოლხეთი“ მართლაც ყოველთვის ბრძოლისუნარიანი გუნდი იყო და ახლაც მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს. ისიცაა, რომ „დინამოს“ წინააღმდეგ ყველა გუნდი განსაკუთრებული თავგამოდებით თამაშობს.

**— ამ წაგების შემდეგ ივო შუშაკზე გარკვეული მითქმა-მოთქმა წავიდა — ფეხბურთელების ყურამდე არაფერი არ მისულა?**

— ამ წაგებას არანაირი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, „დინამოში“ კვლავაც ჯანსაღი ატმოსფეროა. ფეხბურთელებში არანაირი პანიკა არ არის, პირიქით, ამ მარცხმა პირველ ორ ტურში გამარჯვების შემდეგ გაგვაბრაზა და გამოგვაფხიზლა.

**— მითქმა-მოთქმას ისიც უქმნის საფუძველს, რომ შუშაკი ეროვნულ ნაკრებს ჩამოაშორეს...**

— მე ღრმად არ ვარ ჩახედული კლუბის ხელმძღვანელობის საქმიანობაში. ასე რომ, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით.

**— წაგებული მატჩების შემდეგ რას გეუბნებათ ხოლმე შუშაკი?**

— წაგებული თამაშის მერე მწვრთნელებს ნაკლებად უყვართ ლაპარაკი. ჩვენ წაგებულ მატჩს ვიდეოჩანაწერის ყურებისას განვიხილავთ, თორემ ისე შუშაკი განსაკუთრებულს არაფერს გვეუბნება. თუ, რა თქმა უნდა, თამაშის ხარისხი არ იყო ცუდი.

**— „ტირანასთან“ მარცხის მერე რა გითხრათ შუშაკმა?**

— ამ მატჩის შემდეგ ძალიან ცუდად ვგრძნობდით თავს. ეს თამაშიც გავარჩიეთ კასეტაზე.

**— ალბანელებთან წარუმატებლობის შემდეგ შუშაკი ფეხბურთელების ფსიქოლოგიაზე განსაკუთრებულად მუშაობდა?**

— მე დაძაბულობა მომეხსნა — დროთა განმავლობაში ყველაფერი ჩაივლის. რა თქმა უნდა, „ტირანა“ მწარე გასახსენებელია, მაგრამ ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა, უარყოფითმა აურამ უკვე გაიარა.

**— პირადად ალეკო გოგობერიშვილზეც ვთქვათ — „დინამოში“ გატარებულმა ბოლო ორმა სეზონმა უფრო მეტი შეგძინა, თუ ადრინდელმა კარიერამ?**

— ვფიქრობ, „დინამომ“ უფრო მეტი მომცა, მეტი გამოცდილება და წინსვლა შემძინა. ისე, „ვიტ ჯორჯიაშიც“ კარგი იყო.

**— „ვიტ ჯორჯიაში“, „ლოკომოტივში“ და „მერანში“, ასე ვთქვათ, უფრო არ ჩანდი?**

— „დინამოში“ ისე ვთამაშობ, როგორც ამას გუნდის ტაქტიკური სქემა მოითხოვს — 80 პროცენტი შავი სამუშაოს შესრულება მიწევს, მაგრამ საწუწუნო არაფერი მაქვს.

**— ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე მატჩი გითამაშია, შუშაკმა კი ორჯერ გაწვრთნა ნაკრები და არც ერთხელ არ გამოგიძახა...**

— ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო. შუშაკის ნდობას ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ, მაგრამ ნაკრებში არგამოძახება გულზე მომხვდა.

**— შენს სამომავლო კარიერას როგორ უყურებ? უცხოეთში წასვლას აპირებ?**

— ახლა მხოლოდ „დინამოზე“, ჩემპიონობის და თასის შენარჩუნებაზე ვფიქრობ. ისე კი, რაღაც შემოთავაზებები არის.

**— ჩემპიონატი ეს-ეს არის დაიწყო, მაგრამ მაინც, როგორ ფიქრობ, „დინამოს“ გარდა კიდევ რომელი გუნდები წარმოაჩენენ თავს, რომელი ფეხბურთელები იქნებიან წინა პლანზე?**

— ასეთი ალბათ 3-4 გუნდი იქნება, მათ შორის „ვიტ ჯორჯია“ და „ლოკომოტივი“, რომელსაც მართლაც კარგი შემადგენლობა ჰყავს. რაც შეეხება ფეხბურთელებს, ასეთები კი არიან, მაგრამ ამ ეტაპზე კონკრეტულად ვერავის ვერ გამოვარჩევ. ისე, ლადო ახალაიამ 3 თამაშში 5 გოლი გაიტანა...

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი პირველი ეტაპი 15

# 3 ტური

თიმოთეო



გიორგი მიქაძის (შუაში) მცდელობით „ლოკომოტივმა“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა

# რადაც! ზოგს სიტყვა, ხდება! ზოგს ქვა ხვდება

**ძალიანაც კარგი!** ტურიდან ტურამდე სენსაცია მატულობს ქართულ ჩემპიონატში. მრავლობს მაყურებელიც. ერთი კვირის წინ თუ 5000-მდე ქომაგმა არ დაიზარა სტადიონებზე მისვლა, მეორე ტურში ქართული ბურთაობა 7000-ზე მეტმა ნახა, თუმც ამის მიზეზი ისიცაა, რომ ტურის სამი მატჩი დასავლეთ საქართველოში იყო. ფოთის, ქუთაისისა და ოზურგეთის სტადიონებმა ჯამში 5500 მოსეირე შეყარა. ამ მხრივ თუ გავყვებით, გამოდის, რომ არცთუ უმნიშვნელო თბილისურ სამ შეხვედრას საშუალოდ 600 მაყურებელიც არ ჰყოლია, ეს კი მოსაწონი ნამდვილად არ არის. ბარემ ციფრებით სათქმელი აქვე მოვილიოთ. მესამე ტურის ექვსი მატჩიდან არც ერთ სტუმარს არ გაუხარია მოგებით. სამი ფრე იყო და აქედან ერთი განსაკუთრებით სკანდალურ-სენსაციური. სულ 14 გოლი გავიდა, 9 მასპინძლის იყო. სამი ტურის შემდეგ მოუგებელი ორი გუნდია. ქულააულებელი კი მხოლოდ „ბათუმი“. ზღვისპირელებს დღემდე ერთადერთი გოლი აქვთ გატანილი და ისიც ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ პენალტით შეაგდეს.

ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ქუთაისელი ქომაგის წყალობით, ეროვნულ ჩემპიონატებს ინტრიგა და სკანდალიც არ მოკლებია. აქამდე ქუთათურთა რისხვის ობიექტი მსაჯები და მეტოქე გუნდის ფეხბურთელები იყვნენ, საამსეზონოდ კი ვითარება შეიცვალა. „ტორპედოზე“ მისულმა 1000-მდე ქომაგმა თავისი გუნდის მესვეურებს დაატეხა რისხვა. მიზეზი „ტორპედოს“ უსუსურობაა. ვიცე-ჩემპიონს საამსეზონოდ კარგი პირი არ უჩანს. ქუთაისელ ფანობას აუტსაიდერ „სპარტაკთან“ გაყოფილმა ქულამ მოთმინების ძაფი გაუწყვიტა და... „წადით! თქვენ დაშალეთ ტორპედო“ — ქომაგთა ამ ღრიალს მალე კლუბის ხელმძღვანელთა და სოსო ფრუიძის გინება მოჰყვა. გინება ტრიბუნებსაც არ დაუკლიათ და იყო დიდი გაწევ-გამოწევა ქუთაისურ სტადიონზე. ფეხბურთი ნერვების თამაშიცაა, მაგრამ მსგავს სიტუაციაში ნერვების მოთოკვა სწორედ იმ ხალხს მოეთხოვება, შაბათს გინებით რომ მისდგნენ ტრიბუნებს. მოსაწონი არ არის, მაგრამ ფაქტია — ლანძღვაგინება ქომაგისაა და არ არის გამართლებული „ტორპედოს“ მწვრთნელ-ხელმძღვანელთა საქციელი. უმთავრესი კი ის არის, რომ ორმხრივი გინება თავად „ტორპედოს“ ვერაფრით შეეწვა. გუნდში დიდი პრობლემებია, რომელიც მხოლოდ მწვრთნელის შეცვლით არ მოგვარდება, თუმც დღეს ხმამაღლა ლაპარაკობენ სოსო ფრუიძის დათხოვნაზე, რაც რთული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ნამდვილად არ არის.

ქუთაისურ მატჩში ყველაზე კმაყოფილი სტუმარი დარჩა. „სპარტაკის“ უგოლო ფრე ფსიქოლოგიურად დაშლილ და პრობლემებმოძალებულ „ტორპედოსთან“ მაინც სენსაციური იყო. ქუთაისური ქულით ეგებ საამჩემპიონატო მოტივაციაც შეიძინოს ვასილ ჭეიშვილის გუნდმა.

ბოლო წლების „კოლხეთი“ — „დინამო“ თითქმის ყოველთვის სტუმართა გამარჯვებით მთავრდებოდა, შაბათს კი ყველაფერი თავდაყირა დადგა ფოთში. ჯუნგლი ტყებუჩავას გაწვრთნილმა კოლხებმა შუშაკელები დაადუმეს. „დინამოს“ წაგების მიზეზი მხოლოდ ის არ არის, რომ გუნდმა გუნდური ფეხბურთი ვერ ითამაშა. ფაქტია, რაღაც „დინამოშიც“ ხდება, თუმც ჯერ ხმამაღლა არ ამბობენ ამაზე. „კოლხეთის“ გამარჯვებით გუნდის ერთგულმა ფანებმა გაიხარეს, მაგრამ იზარალეს ფოთელმა მეფსონეებმა. ამათი უმრავლესობა ტოტალიზატორში „დინამოზე“ იდგა. ჰოდა, ნამატჩევს „ფაზისზე“ ბევრი იჯდა კარგახანს გაუნძრევლად თავჩარგული. არადა, ტოტალიზატორს ერთობ მსუქანი კუში — 2,1 ეწერა „დინამოს“ მოგებაზე. ის 2,1 „კოლხეთის“ 2:1-ად იქცა, „კოლხეთი“ კი — ჩემპიონატის ლიდერად.

მე-15 ეროვნულ ჩემპიონატში ქვა გამოჩნდა. ქვის კერამ ოზურგეთში იფეთქა. ფიცხელ გურულებს „მერცხალის“ „მცხეთასთან“ 1:1 ემცხეთათ. ოზურგეთელ ქომაგს კახა მესხის პრინციპული მსაჯობაც არ მოუვიდა თვალში. იქაურებმა შინაურიც არ დაინდეს და მწვრთნელი სერგო გაბელაია გააკრიტიკეს. არადა, ოზურგეთული 1:1 რეალურად ასახავდა მატჩისეულ მოვლენებს. ფრე ლოგიკური შედეგი იყო, და თანაბარქულიანი „მერცხალი“ და „მცხეთა“ კვლავაც მეზობლები არიან სატურნირო ცხრილში.

საუეფასთასო რეპეტიცია ნაწილობრივ ჩააბარა „სიონმა“. კარგი იქნება, თუ ბოლნისელები პუხოვიდანაც 1:1-ს წამოიღებენ, მაგრამ თუკი სლოვაკეთშიც ისევე ითამაშეს ქვემოქართლელებმა, როგორც „თბილისთან“, ამის გაკეთება გაუჭირდება.

„თბილისთან“ ბოლნისელებს ეგებ მოეგოთ კიდეც, მაგრამ ექსსიონელმა დავით დათვაძემ მატჩის 86-ე წუთზე, გველი გამიზრდია უბეშიო, ათქმევინა, ალბათ, თემურ მახარაძეს. „თბილისის“ გამთანაბრებელი გოლი სწორედ დათვაძის აქტიურობას მოჰყვა, „პუჭურამ“ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ გუჩუას ვოლკოვის კარში ჩაეჭრა ბურთი.

დიდი ინტრიგა ახლდა „ლოკომოტივ“ — „დილას“. გორელები რკინიგზელთაგან მოძულებული ფეხბურთელებით მიეჭრნენ არველაძის ვაგონს და მალე ფანჯრებიც ჩაუმტვრიეს — „ლოკომოტივიდან“ გაძევებულმა კაიდარაშვილმა „ლოკომოტივიდან“ გაძევებული ლაცაბიძის აქტიურობის შედეგად გახსნა ანგარიში, თუმც არველაძის გუნდმა დიდი ომი გადაიტანა. ფორტუნაც გვერდით ამოიყენა და გაიმარჯვა, გორელები სირაძის და მიქაძის თავდადებამ წაახდინა. ეს მოგება სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო „ლოკომოტივისთვის“, თუმც რკინიგზელებმა გამარჯვება უფრო ცალკეულ ფეხბურთელთა ოსტატობის ხარჯზე შეძლეს. ამიტომ გუნდის უმთავრეს პრობლემად გუნდურობა რჩება. ამ პროცესის სრულყოფა კი არველაძის პრეროგატივაა და მწვრთნელს წინ მეტად რთული სამუშაო აქვს.

მოლოდინისამებრ გაიმარჯვა „ვიტ ჯორჯიამ“. გველესიანით და დეკანოსიძით გაძლიერებულმა ვეტერინარებმა ქამელეონივით ცვალებად ამინდში „ბათუმი“ სატურნირო ცხრილის ფსკერზე მოისროლეს.

**ბაატა ძმანტალიანი**



გიორგი დეკანოსიძემ საქართველოში დაბრუნება გოლით აღნიშნა

### სიმბოლური ნაკრები

მალხაზ ბაბუა — კოლხეთი
გიორგი მიქაძე — ლოკომოტივი
გიორგი დეკანოსიძე — ვიტ ჯორჯია
ოლეგ გველესიანი — ვიტ ჯორჯია
დავით დათვაძე — სიონი
დავით გოლდმაძე — სპარტაკი
ლევან ბოკოჩია — კოლხეთი
ზურაბ მინდაძე — კოლხეთი
ირაკლი მაზმიძე — ლოკომოტივი
რევაზ ძამოკლიძე — ლოკომოტივი
ზურაბ მამალაძე — სპარტაკი

მეკარე: კოლხეთი

მწვრთნელი: გია ტყებუჩავა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 5 - ახალაია | დინამო |
| 3 - გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 2 - ბაბისკირია | სიონი |
| გოგობერიშვილი | დინამო |
| ვ. გორჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ქოქუაშვილი | დილა |
| ხომერიკი | ლოკომოტივი |
| ხუჭუა | მერცხალი |
| ბ. ნოზაძე | მცხეთა |

### სტატისტიკა

| ჯარ. | კუთხ. | კარისკენ | კარში | თამაშგ. |
|---|---|---|---|---|
| 59 | 7 | 13 | 12 | 12 |
| 44 | 31 | 38 | 30 | 10 |
| 37 | 18 | 25 | 31 | 15 |
| 54 | 11 | 15 | 17 | 7 |
| 75 | 15 | 12 | 15 | 15 |
| 48 | 17 | 15 | 11 | 8 |
| 46 | 12 | 14 | 10 | 6 |
| 33 | 18 | 19 | 23 | 9 |
| 75 | 12 | 8 | 11 | 11 |
| 45 | 6 | 12 | 7 | 3 |
| 69 | 8 | 12 | 4 | 8 |
| 40 | 10 | 13 | 8 | 9 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | კოლხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 2 | დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 10:2 | 8 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 0 | 1 | 10:4 | 7 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 4 | სიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 5 | თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 |
| 6 | დილა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 7 | ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 8 | ტორპედო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 9 | მერცხალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 10 | მცხეთა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:9 | -6 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:8 | -7 | 1 |
| 11 | სპარტაკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:9 | -9 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | -6 | 1 |
| 12 | ბათუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |

# ნდობის კაცები

## ძმები კილასონიები ნომრებს გოლებით იცვლიან

*დღეს ვარლამ კილასონია 36 წლის გახდა, ცოტა ხნით ადრე კი თავის ძმასთან, გიორგისთან ერთად ფეხბურთს დაუბრუნდა. და რადგან ძმები კილასონიები ფეხბურთსაც თითქმის მუდამ ერთად თამაშობდნენ და ახლაც ერთად, ერთ გუნდში დაბრუნდნენ, მათ ვერც ამჯერად დავაცილებთ ერთმანეთს.*

*თუ თქვენ ქართული ფეხბურთის ავანჩავანში ჩახედული ბრძანდებით, კილასონიების დაბრუნების ამბავი უმნიშვნელოდ არ მოგეჩვენებათ, რადგან ძმები კილასონიები ამ ნატანჯი ქართული ფეხბურთის ისტორიის არცთუ უმნიშვნელო ფურცლებს ქმნიან*



ვარლამ კილასონია პირველი ფეხბურთელია, რომელმაც „ამერთან“ პროფესიული კონტრაქტი გააფორმა

*ვისაც ძმები კილასონიების თამაში უნახავს, ყველას უკვირს, რატომ არ იყვნენ ისინი ეროვნული გუნდის ფეხბურთელები. საქართველოს ნაკრებში ამ დროისთვის სულ 119 ფეხბურთელს უთამაშია და უბრალოდ სასაცილოა, ამდენ კაცში როგორ არ მოინახა ვარლამ კილასონიას ადგილი. დავაზუსტოთ: ვარლამს საქართველოს ნაკრებში არასდროს უთამაშია, ხოლო გიორგიმ ოდენ სამი თამაში ჩაატარა. მათგან გამორჩეული იყო ევრო 96-ის შესარჩევ ციკლში ბულგარელებთან მატჩი, რომელშიც უმცროსმა კილასონიამ ფანტასტიკური დარტყმით ხარისხ შეაზანზარა.*

*კილასონიებს თითქოს ვერ ამჩნევდნენ, არადა, ვარლამი დღემდე რჩება რუსეთის ჩემპიონატის ერთი რეკორდის ავტორად — სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივში“ თამაშისას მან ერთ მატჩში 7 გოლი გაიტანა, მერე კი იქაური პირველი ლიგის ბომბარდირიც გახდა.*

*და მათ მიმართ სანაკრებო უყურადღებობა მით უფრო გასაკვირია, რომ ყველა კლუბში, სადაც კი მათ უთამაშიათ, მწვრთნელები და ხელმძღვანელობა გამორჩეულად სცემდათ პატივს.*

*რატომ? თუნდაც ამიტომ: აზერბაიჯანში თამაშისას ერთ-ერთ გადამწყვეტ მატჩში გიორგი კილასონიას გვარიანი თანხა შესთავაზეს — ხვდებით, რისთვისაც. გიორგი გუნდის ლიდერი იყო და ფულიც უპირველესად მას შესთავაზეს. კილასონიამ იცოდა, რომ უარს თუ იტყოდა, ხელის მოთბობის მსურველები გუნდში სხვები გამოჩნდებოდნენ და ის მატჩი წასაგებად ყველა ვარიანტში განწირული იყო. ასე რომ... მაგრამ გიორგი კილასონიამ ალალად თამაში ამჯობინა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ძმები კილასონიების მიმართ კლუბებში ყოველთვის გამორჩეული დამოკიდებულება ჰქონდათ.*

*ერთი სიტყვით, კილასონიები ფეხბურთს დაუბრუნდნენ. ისინი პირველ ლიგაში მოთამაშე „ამერის“ წევრები არიან. აქამდე ვარლამს წელიწადნახევარი არ ეთამაშა, გიორგის კი — თითქმის ერთი წელი.*

*ხანგრძლივი უთამაშებლობა, ვარლამის ტრავმა, ფეხბურთელისთვის სოლიდური ასაკი — და მაინც, „ამერის“ უფროსობამ ძმები კილასონიები აირჩია.*

**ზურაბ ფოცხვერია**, „ამერის“ პრეზიდენტი: „როდესაც გუნდის დაკომპლექტებაზე იწყებ ზრუნვას, ყოველთვის ირჩევ ერთ ან რამდენიმე ფეხბურთელს, რომლებმაც გუნდის ხერხემალი უნდა შექმნან. ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც და ასეთ ფეხბურთელებად მეც და მთავარ მწვრთნელ გაიოზ დარსაძესაც ვარლამ კილასონია და გიორგი ჩიხრაძე წარმოგვედგინა. კმაყოფილები ვართ, რომ დღეს ორივე მათგანი ჩვენი გუნდის წევრია. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ვარლამ კილასონია პირველი ფეხბურთელი იყო, ვისთანაც „ამერმა“ პროფესიული კონტრაქტი გააფორმა. ოდნავ მოგვიანებით ვარლამ კილასონიას და გიორგი ჩიხრაძეს ვარლამის ძმა, გიორგიც შემოუერთდა, ვისი გადმოყვანაც ასევე ძალიან გვსურდა. ერთი მხრივ, კილასონიები უკვე ასაკიანი ფეხბურთელები არიან, მაგრამ როდესაც მათთან კონტრაქტს ვაფორმებდით, ამაზე ნაკლებად ვფიქრობდით. ისინი მებრძოლი სულის მოთამაშეები არიან, ისეთები, რომელთათვისაც ასაკი გადაულახავ ბარიერს არ წარმოადგენს. ამასთანავე, მოგეხსენებათ, გუნდში ბევრი ჭაბუკი ფეხბურთელი გვყავს, რომელთათვისაც კილასონიების და ჩიხრაძის გვერდით თამაში უდიდესი სკოლა იქნება.“



გიორგი კილასონია მუდამ კარგ ხასიათზეა

*„ამერის“ ვარჯიშებზეც ჩანს და იქამდეც ვიცოდით — ვარლამ კილასონია უფრო სერიოზულია, გიორგი კი შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, რომ არ გაიხუმროს. ისე კი, მათი ძველი ნაცნობებიც ამტკიცებენ, გიორგის ვარლამის დიდი რიდი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ოდენ ერთი წლით არის უმცროსი.*

*ძმების სიყვარული კი, აბა, რა სალაპარაკოა, ეგ ხომ თავისთავად იგულისხმება. სხვათა შორის, ვარლამის შვილს გიორგი ჰქვია, გიორგისას კი — ვარლამი.*

*ვარლამ კილასონიასთან ეს მცირე ინტერვიუ „ამერის“ ერთ-ერთი ვარჯიშის დაწყებამდე ავიღეთ.*

**— ვარლამ, წელიწადნახევარია, არ გითამაშია, თან ტრავმაც გაწუხებდა, ამ დროს კი უეცრად ფეხბურთს დაუბრუნდი...**

— თავის დროზე თამაშს თავი სწორედ ტრავმის გამო დავანებე, თორემ მოედანზე გასვლის და ბრძოლის სურვილი არ გამნელებია. ამიტომ, როდესაც მომჯობინებისკენ წავედი და „ამერის“ პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ თავისთან თამაში შემომთავაზა, სიამოვნებით დავთანხმდი, მით უმეტეს, რომ „ამერის“ ხელმძღვანელებს დიდი ხანია, ვიცნობ, კარგი ურთიერთობა მაქვს და პატივს ვცემ...

**— ცხადია, შენი მოყვანა მწვრთნელის სურვილიც იყო...**

— გაიოზ დარსაძესაც დიდი ხანია, ვიცნობ. მისი ცოდნა და ენთუზიაზმიც იყო ჩემი თანხმობის ერთ-ერთი მიზეზი.

**— სანამ კონტრაქტს ხელს მოაწერდი, რაზე ისაუბრეთ?**

— პრეზიდენტმა და მწვრთნელმა უპირველესად ის მითხრეს, რომ ასაკისა და ძველი ტრავმის მიუხედავად, მენდობიან. ამასთანავე „ამერი“ ძალიან საინტერესო გუნდია, აქ შემადგენლობის ნახევარს 15-16 წლის ბიჭები შეადგენენ და მე, ისევე როგორც სხვა ასაკიან ფეხბურთელებს, მათთვის გამოცდილების გაზიარება მევალება.

**— ანუ, თან თამაშობ, თან მასწავლებელი ხარ...**

— დაახლოებით ეგრეა, ოღონდ საკუთარი თავი ყოვლისმცოდნედ თუ წარმოვიდგინე, არ ივარგებს. მე შემიძლია, ბიჭებს გამოცდილების შეძენაში დავეხმარო, მაგრამ მთავარი მაინც ის ცოდნაა, რასაც მათ მწვრთნელი მისცემს.

**— შენს თანაგუნდელებზე რას იტყვი, მათი დიდი ნაწილი შენზე ორჯერ უმცროსები არიან...**

— პირველ რიგში ვიტყვი, რომ ძალიან ნიჭიერი ბიჭები არიან, მაგრამ ხომ იცი, ნიჭს სწორი მიმართულება უნდა მისცე. ამ თვალსაზრისით გაიოზ დარსაძემ უკვე უზარმაზარი სამუშაო გასწია. „ამერში“ მოთამაშე ბიჭებს უკვე წელიწადზე მეტია, ვაკვირდები და თამამად ვიტყვი, რომ ტაქტიკური განსწავლულობით უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებს არაფრით ჩამოუვარდებიან. ეს კი, რა თქმა უნდა, მწვრთნელის დამსახურებაა.

**— თავად შენ როგორ მოგწონს დარსაძის ვარჯიშები?**

— კარიერის მანძილზე ათამდე გუნდში მითამაშია და ასეთი დატვირთვა არსად მქონია.

**— შენ წელიწადნახევარია, არ გითამაშია და სეზონისწინა სამზადისს დიდი ძალისხმევა სჭირდება. ალბათ გიჭირს...**

— ენთუზიაზმი მაქვს და თამაშიც ძალიან მინდა, მაგრამ ფეხბურთიდან დიდი ხნით მოწყვეტას, ცხადია, თავისი მიაქვს. წონაც მომატებული მქონდა, რაც ასევე მიშლიდა ხელს. მაგრამ ნელ-ნელა ფორმაში ვდგები. ათი დღეა, რაც ვარჯიში დავიწყე და უკვე ოთხი კილო დავიკელი. მგონი, ცოტა არ არის.

**— მოზარდების გარდა გუნდში გამოცდილი ფეხბურთელებიც არიან, მათზე რას იტყვი?**

— პირველ სეზონში, ძირითადი დატვირთვა მაინც ამ გამოცდილ ფეხბურთელებზე მოვა. მათი მჯერა, რადგან თითოეულ მათგანს ვიცნობ. ჩემს ძმაზე არაფერს გეტყვით, მის გარდა კი მამუკა რუსიასთან ერთად მითამაშია და მისი შესაძლებლობები ვიცი. თუმცა საქმეში დანარჩენებსაც ვიცნობ, მოედანზე მეტოქეებად შევხვედრივართ.

**— როგორ ფიქრობ, კიდევ რამდენ ხანს ითამაშებ?**

— ჯანმრთელობამ თუ არ მიმტყუნა, 2-3 წელი.

**— ამ 2-3 წლის მერე „ამერი“ როგორ გუნდად წარმოგიდგენია?**

— უმაღლეს ლიგაში რომ ვითამაშებთ, ეჭვი არ მეპარება. გარდა ამისა, მჯერა, რომ საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იქნება.

**— ერთი კითხვაც, ნაკრებში რომ არ გიწვევდნენ, გული არ გწყდებოდა?**

— ერთი მხრივ, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია და მის არჩევანში არავინ არ უნდა ჩაერიოს. მაგრამ მეორე მხრივ, როცა ვგრძნობდი, რომ საუკეთესო ფორმაში ვიყავი და საქართველოს ნაკრებს უეჭველად გამოვადგებოდი, ამ დროს კი ვერ მამჩნევდნენ, რა დასამალია, გული მწყდებოდა.

**— მაინც როდის გქონდა სათამაშო პიკი?**

— რომელიმე ერთი სეზონის გამორჩევა მიჭირს, ასეთი რამდენიმე მქონდა, მაგრამ თუ მაინცდამაინც გამორჩევას მთხოვ, 1996 წელი. მაშინ რუსეთის პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი, ეს კი იოლი არ არის.

*ვარლამ კილასონიას, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ამერის“ ვარჯიშის წინ გავესაუბრეთ. ამ დროს მისი ძმა, გიორგი, იქვე ჩრდილში იჯდა და მწვრთნელის ნიშანს ელოდა. ცხადია, მცირე ინტერვიუ მასაც ვთხოვე.*

— რას ამბობ, რა ინტერვიუ, ჯერ სამაგისო არაფერი გამიკეთებია — შორს დაიჭირა თხოვნა უმცროსმა კილასონიამ.

ძველი ნაცნობობით ვისარგებლე და გავუთამამდი: ვარჯიშებზე ყველაზე მეტს შენ ლაპარაკობ და ვარჯიშის წინ ორი სიტყვის თქმა რა გახდა-მეთქი. ისიც ამყვა:

— რა ვქნა, მწვრთნელი სიქას გვაცლის და ცოტა თუ არ ვიხუმრე, დავიხოცებით.

**— გიჭირს ასეთი დატვირთვით ვარჯიში?**

— მე რა მენაღვლება, მაგრამ ბავშვები მეცოდებიან. მინდა, ცოტათი გავამხიარულო. მე შეჩვეული ვარ.

*ვარლამი მთელი ცხოვრება 9-ნომრიანი მაისურით თამაშობდა, გიორგი კი მე-8 ნომერი იყო. „ამერში“ ძმებმა 12 და 18 ნომრები მიიღეს. შემთხვევით არაფერი ხდება: ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 100 გოლამდე მათ 12 და 18 გოლი უკლიათ.*

**ქოტე ქექელია**



ბადრი ქათილაშვილის ფოტო

# ეშმაკი ხუანი

## ლაპორტა პუიოლს დახლის ქვემოდან ყიდის

## კარლესი ხამი არ არის. ამბობს ხავი

*სერ ალექს ფერგიუსონს, როგორც ჩანს, კარლეს პუიოლი არ დავიწყებია. ინგლისური პრესის ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედს" 23 მილიონი ევრო შაბაშივით გამზადებული აქვს და როგორც კი „ბარსელონას" და თვითონ მოთამაშის თანხმობას მიიღებს, ფულს იმწამსვე კატალონიური კლუბის ანგარიშზე დაასვენებს*





ხუან ლაპორტას კარლეს პუიოლის გაყიდვით ხელის მოთბობა უნდა

ეს ამბის ინგლისური ვერსიაა, მაგრამ „ბარსას" მცველის თქმით (მას ეს არაერთხელ უთქვამს), „ნოუ კამპიდან" წასვლას არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო, ახლა კი ზოგიერთ ესპანურ წყაროს თუ ვენდობით, „ბარსელონასა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლები ფეხბურთელის ინგლისში გადასვლის თაობაზე გახურებულ ვაჭრობაში არიან და თითქოს პუიოლიც არ უნდა იყოს წინააღმდეგი. მოკლედ, გვარიანი არეულობაა და სანამ წყალი დაიწმინდება, გაურკვევლობა იქნება.

კლუბის პრეზიდენტი ხუან ლაპორტაც ორაზროვნად ბჭობს: „ჩვენ კარლესის გაყიდვას არ ვაპირებთ. გვსურს, რაც შეიძლება, დიდხანს დარჩეს გუნდში, რადგან ის მსოფლიო დონის მცველია. თუმცა, გამორიცხული არ არის, საკადრისი ფასის სანაცვლოდ კიდეც შეველიოთ, ოღონდ საამისოდ მხოლოდ ფეხბურთელის თანხმობა დაგვჭირდება".

დიდი ვერაფერი განმარტებაა პრეზიდენტისგან. თან უცნობია, რა ხდება კარლეს პუიოლის თავში.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ხუან ლაპორტამ კლუბის ფინანსური მდგომარეობა შეაჯამა და საბოლოო ბალანსი მაგიდაზე დადო: „ბიუჯეტის დეფიციტი 164 მილიონი ევროა. ეს რეალობაა, მაგრამ მხოლოდ დროებითი პრობლემაა. მომავალ წელს ყველაფერს გამოვასწორებთ".

ლაპორტას წინამორბედი, ენრიკე რეინა მაისში ამბობდა, დეფიციტი 55 მილიონ ევროს არ გადააჭარბებსო და სამჯერ კი გადააჭარბა.

მთლიანობაში „ბარსელონას" ვალი 220 მილიონ ევროს უკაკუნებს. როგორ აპირებენ ვალის გასტუმრებას? ხუან ლაპორტამ ადრევე თქვა, რომ საშინაო მატჩებზე ბილეთის ფასი 20-40 პროცენტით გაიზრდება. ეს აქცია კლუბის ხაზინას, სავარაუდოდ, 8 მილიონი ევროთი შეეწევა, მაგრამ, დანარჩენი? პრეზიდენტი ტრადიციის დარღვევას აპირებს. ტრადიციით კი, „ბარსელონას" მაისურაზე რომელიმე ფირმის სახელწოდება არასოდეს დაუწერიათ, ლაპორტას განცხადებით, მაისურაზე შეიძლება წარწერები გაჩნდეს და როგორ შეხვდება ამ ამბავს კლუბის ფანობა...

ფინანსური პრობლემების არსებობა ნაწილობრივ კარლეს პუიოლს გაყიდვის ალბათობას ზრდის, მაგრამ აბა, ხავის მოვუსმინოთ: „კარლესის გარშემო ატეხილი აურზაური მოსაწყენია. მას „ბარსელონაში" დარჩენა სწადია და მთავარი ესაა. მესმის, რომ კლუბს ფინანსურად უჭირს, მაგრამ ფეხბურთელის გაყიდვა ამ საქმეს ვერ მოაგვარებს. საამისოდ სხვა ხერხიც არსებობს. არ მაინტერესებს, რას წერს ინგლისური პრესა. ფრანკ რაიკაარდიც პუიოლის დატოვების მომხრეა".

ამასობაში „ბარსელონამ" „ვალიადოლიდის" მცველი მარიო იჯარის წესით გადაიყვანა და მცველის დამატებამ ეჭვები კიდევ უფრო გაზარდა. ნამდვილად ხომ არ აპირებს „ბარსა" პუიოლის დათმობას? რაც შეეხება მარიოს, 21 წლის მცველი ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. თავიდან მადრიდის „ატლეტიკოს" მეორე შემადგენლობაში თამაშობდა და ორი წლის წინ „ვალიადოლიდში" გადავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ეტოო ორზე ტყდება

## სამუელი და მუქთად?!

**ესპანეთში** იციან, რომ „მალიორკას" ბიუჯეტი სულს ღაფავს. კუნძულელებს ფული სჭირდებათ. ფულს კი დღეს სხვებზე უკეთ რომან აბრამოვიჩი ხარჯავს. „მალიორკაში" თამაშობს კამერუნელი ფეხბურთელი, რომლის სანაცვლოდაც სულმღაფავ ბიუჯეტიანებს გვარიანად მსუყე თანხის მიღება შეუძლიათ.

კამერუნელი სამუელ ეტოო ცნობილი მეგოლეა. ლონდონელებს მისი წაყვანა კი სურთ, მაგრამ დახეთ, ხელგაშლილი აბრამოვიჩის უცნაურ სიძუნწეს, მაგ თქვენ მეგოლეში 7 მილიონ ევროზე მეტს ვერ გადავიხდიო, შეუთვალა შიკრიკის პირით. არადა, „მალიორკასთვის" ეტოოს გაყიდვა ვალების ჭაობიდან ამოსვლას ნიშნავს.



სამუელ ეტოო

ესპანური კლუბის პრეზიდენტ მატეო ალემანის მოსწყინდა გაუთავებელი ლაყაფი და საქვეყნოდ თქვა: „სამუელ ეტოოს შესახებ ჩემგან ახალს ვერაფერს შეიტყობთ. ის ჩვენი გუნდის ფეხბურთელია და მხოლოდ იმ შემთხვევაში გავყიდით, თუ სერიოზული ხალხი სოლიდურ თანხას შემოგვაჩეჩებს, ასეთებს კი დღეს ვერსად ვხედავ. „არსენალისა" და „ლაციოს" ოფიციალური წინადადების თაობაზე არაფერი მსმენია".

მატეო ალემანის „სოლიდური თანხა" კლუბის დირექტორმა პედრო ტერასამ დააკონკრეტა: „სამუელის დონის მოთამაშე, გაწიეგამოწიე, 24 მილიონ ევროზე ნაკლები არ ღირს. ერთადერთი რეალური შემოთავაზება „ჩელსისგან" მივიღეთ, მაგრამ ისინი სამჯერ ნაკლებს გამოდიან. სხვა კლუბების სურვილის შესახებ არ მსმენია. ამ დროისთვის იოლი დასადგენია, სად შეიძლება წავიდეს ეტოო — „მანჩესტერ იუნაიტედში", „არსენალში", „ჩელსიში" ან რომელიმე იტალიურ გუნდში. „რეალი" და „ბარსელონა" ფაქტობრივად გამორიცხულია".

რატომ აიტეხეს მაინცდამაინც 24 მილიონი ევრო? იმიტომ, რომ სამუელ ეტოო მადრიდის „რეალის" ფეხბურთელია და მისი გაყიდვის შემთხვევაში თანხის ნახევარი „სამეფო კლუბის" ხაზინას ერგება.

ამ რია-რიაში ლულა „მეთოფეებმაც" გამოყვეს, რომლებსაც რომან აბრამოვიჩთან შეჯიბრი გადაუწყვეტიათ და კამერუნელი ფორვარდის აწაპვნას ცდილობენ. „ჩელსის" მწვრთნელ კლაუდიო რანიერის თქმით კი, იგი თანახმაა, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს შეელიოს და ჰოლანდიელის გასხვისების შემდეგ ეტოოს საქმესაც მოაკვარახჭინებენ.

პაუზით „არსენალმა" ისარგებლა, მაგრამ იმდენად უსუსური გარიგება შესთავაზა „მალიორკას", რომ საეჭვოა, მატეო ალემანი დათანხმდეს. „არსენალის" პირობა ასეთია: სამუელ ეტოოს ნაცვლად სილვენ ვილტორდი და... 2 მილიონი ევრო.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რივერსაიდი

## მენდიეტას ბორო შანსი?

**„მიდლსბროს"** მთავარ მწვრთნელ სტივ მაკლარენს მადრიდის „რეალიდან" შარშან დროებით წაყვანილი ჯერემი ნჯიტაპი რომან აბრამოვიჩის ფულმა წაჰგვარა.

მაკლარენი ახალი ფეხბურთელის შეძენით იყო დაინტერესებული და თვალი კვლავ მადრიდის „რეალის" ფლავიო კონსეისაოს დაადგა. ამჯერად ტრავმებმიძალებული დორტმუნდის „ბორუსია" ჩაერია ტრანსფერში და ბრაზილიელი „მიდლსბროს" ააფუცქუნა.

ინგლისურ კლუბს „ინტერის" ფრანგი სტეფან დალმა და „ფულემის" შონ დევისიც სურდა, მაგრამ ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა.

„ბორომ" ითმინა და შესაძლოა, ისეთი გარიგება გაჩარხოს, რომ სრულიად ინგლისი აალაპარაკოს. ინგლისელები იტალიაში, კერძოდ, რომში ჩასულან... გაისკა მენდიეტასთან მოსალაპარაკებლად.

„ვალენსიაში" გატარებული რამდენიმე ბრწყინვალე სეზონის შემდეგ ქერა ესპანელის შემოქმედება სერია A-ში ჩაიკარგა და „ლაციოდან" „ბარსელონაში" წასულმაც ძველი დიდება მაინც ვერ დაიბრუნა.

ამჟამად იგი „ლაციოს" საკუთრებაა და მიდლსბროელებმაც იმიტომ ჩააკითხეს იტალიის დედაქალაქში. „სტივს მენდიეტას გადმობირება გულით სწადია, მაგრამ შევძლებთ თუ არა, ამას ველარ გეტყვით" — განაცხადა „მიდლსბროს" პრეზიდენტმა. ფაქტია, რომ „ბორომ" იტალიაში შიკრიკები გაუგზავნა და ეგებ გაისკა მენდიეტამ თავისი ბუდე „რივერსაიდზე" მონახოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აქ პირველი კაცი მე ვარ!
## პალიუკამ მანინგერი შეაქო და შეაშინა






წლევანდელ ზაფხულის სატრანსფერო სეზონში იტალიური კლუბები პასიურობით გამოირჩნენ, ამის მიზეზი კი ყველასთვის ცნობილია — სერია A-ს გუნდების არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა.

თუმცა გამოსარჩევია „ბოლონია", რომელსაც მართალია, ხმაურიანი ტრანსფერები არ განუხორციელებია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი მოთამაშეები დაიმატა. ფრანჩესკო გვიდოლინი ამ მხრივ ძალიან აქტიურობდა და თავისი რიგები არაერთი ნაყიდი თუ ნათხოვარი ფეხბურთელით შეივსო.

„ბოლონიაში" თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა ბოლო დროს „ტორინოში" მოთამაშე, „არსენალისა" და „ფიორენტინას" ყოფილი მეკარე, ავსტრიელი ალექს მანინგერი. გეხსომებათ, ეს უკანასკნელი ერთ დროს ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ კარის დარაჯად ითვლებოდა, მაგრამ შემდგომში მისი კარიერია არც ისე კარგად აეწყო, თუმცა მანინგერი ჯერაც ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს.

ამ ტრანსფერით მეტ-ნაკლებად შეშფოთებულმა „სამპდორიას", „ინტერისა" და იტალიის ნაკრების ყოფილმა, ხოლო ამჟამად „ბოლონიას" გოლკიპერმა ჯანლუკა პალიუკამ ასეთი კომენტარი გააკეთა: „ვფიქრობ, იგი ბრწყინვალე მეკარეა და ძალიან წაადგება „ბოლონიას", მაგრამ აქ პირველი ნომერი ჯერჯერობით მე ვარ".

როგორც ხედავთ, 37 წლის პალიუკა ჯერ არ აპირებს ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას და მომავალი სეზონისთვის ემზადება. მან კლუბის მიერ წარმოებულ სატრანსფერო პოლიტიკაზეც ილაპარაკა: „ჩვენ მთლიანად გადავახალისეთ შემადგენლობა და ისეთი შედეგი მივიღეთ, როგორსაც ველოდით. ერთბაშად ამდენი ახალი სახის გამოჩენამ ეგებ ზოგს აფიქრებინოს, რომ კლუბს დასაწყისში პრობლემები შეექმნება, მაგრამ ჩვენ მომავალ სეზონს იმედის თვალით ვუყურებთ".

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში „ბოლონია" მე-11 ადგილზე გავიდა და მხოლოდ 3 ქულით გაუსწრო სერია B-ში დაქვეითებულ „ატალანტას". შემადგენლობის ამგვარად გადახალისებაც ალბათ ამით იყო განპირობებული.

**გიორგი ძაძამაძე**




დიონასი კამარა

# კმარა! ავიყვანოთ კამარა

**ცოტა ხნის წინ** რომის „ლაციომ" გუნდიდან ვეტერანი ფორვარდი ენრიკო კიეზა გაუშვა. „ფიორენტინას" ყოფილმა ვარსკვლავმა სერია A-ს ახალწვეულ „სიენას" მიაშურა, ხოლო „ლაციოს" ამ ტრანსფერის შემდეგ მხოლოდ სამი თავდამსხმელი დარჩა — კლაუდიო ლოპესი, ბერნანდო კორადი და სიმონე ინძაგი.

ბუნებრივია, მომავალი სეზონისთვის რობერტო მანჩინის გუნდს სულ მცირე, კიდევ ერთი თავდამსხმელი სჭირდება. ამბობდნენ, „ლაციომ" „მონაკოში" მოთამაშე მარკო სიმონესა და „უდინეზელ" რობერტო მუცის დაადგა თვალიო. ახლა კი „მოდენას" ახალგაზრდა ფორვარდ დიონასი კამარაზე ალაპარაკდნენ.

21 წლის ფეხბურთელი შარშან შეუერთდა ელიტაში დაბრუნებულ „მოდენას" და ხუთი გოლის გატანა შეძლო. მართალია, ეს დიდი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ ახალგაზრდა მოთამაშისთვის არც ისე ცუდი შედეგია. ასეა თუ ისე, „ლაციოს" მესვეურებს პერსპექტიული ფრანგი თვალში მოუვიდათ და მის შეძენაზე ფიქრობენ.

ბოლოს კი შევნიშნოთ, რომ რომაელები ახალ სეზონს ოფიციალურად დღეს იწყებენ. რობერტო მანჩინის გუნდი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბენფიკას" ხვდება. „ლაციო" „სტადიო ოლიმპიკოზე" დაგხვდება პორტუგალიელებს და შეეცდება, საპასუხო მატჩისთვის საჭირო უპირატესობა მოიპოვოს.

**გიორგი ძაძამაძე**

# არ შეაქოთ, არ ავნოს

**მილანის** „ინტერი" სერჟიუ კონსეისაუსა და ლუიჯი დი ბიაჯოს რომ გამოეთხოვა, გეხსომებათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფეხბურთელებმა გუნდი „შავ-ლურჯების" ინიციატივით დატოვეს, ამან „ინტერის" ნახევარდაცვა მაინც დაასუსტა.

მილანელებს განსაკუთრებული პრობლემები მარცხენა ფლანგზე შეექმნათ. ამ პოზიციაზე ექტორ რაულ კუპერმა „აიაქსიდან" ნაყიდი ენდი ვან დერ მეიდე გამოსცადა, რომელიც ამპლუით მარჯვენა ნახევარმცველია, მაგრამ ექსპერიმენტმა არ გაამართლა.

ცოტა ხნის წინ გაუწყეთ, რომ „ინტერი" არგენტინელი კილი გონსალესით იყო დაინტერესებული. ამ უკანასკნელის შესაძლებლობები კარგად იცის კუპერმა. როდესაც იგი „ვალენსიას" თავკაცობდა, კილი მისი ერთ-ერთი რჩეული ფეხბურთელი გახლდათ და ნახევარმცველის „ინტერში" გადმოყვანა ამიტომაც ისურვა.

ახლა კი ეს ინფორმაცია „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმაც დაადასტურა: „მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაშია. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საკითხი დაგვრჩა შესათანხმებელი".

გარდა ამისა, „GAZZETA DELLO SPORT"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მორატიმ მარტინს ობაფემსა და ალვარო რეკობაზეც ილაპარაკა. ეს უკანასკნელი მისი ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია, ხოლო ბოლო დროს გავრცელებული ჭორების თანახმად, ურუგვაელის გადაბირებას „პარმა" ცდილობს. „ინტერის" პრეზიდენტმა ეს ინფორმაცია უარყო: „ალვარო ერთ-ერთია იმ მართლაც ნიჭიერ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც კლუბში არიან. მე კვლავინდებურად დარწმუნებული ვარ მის შესაძლებლობებში".

ხოლო ახალგაზრდა ნიგერიელ მარტინსზე მორატიმ ასეთი რამ თქვა: „იგი ისეთივე ნიჭიერი ფეხბურთელია, როგორებიც იყვნენ მარიოლინო პორსო და სანდრო მაცოლა, მაგრამ არ მინდა ბევრი ვაქო, ვაითუ, ცუდად იმოქმედოს".





ობაფემი მარტინსის ქება მასიმო მორატიმ ყველას აუკრძალა

**გიორგი ძაძამაძე**

# კიდევ ერთი სიკვდილის ამბავი



ლესლი მანიატელა ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა

**აფრიკას** კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოაკლდა. სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავდამსხმელი ლესლი მანიატელა გასულ შაბათს ავტოსაგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა. „ორლანდო პირატზის" 22 წლის მეგოლე მეგობრებითურთ საკუთარი ავტომობილით ქალაქგარეთ მიემგზავრებოდა და შეჯახებისას ადგილზევე გარდაიცვალა. მისი მეგობრები დაიმტვრნენ, მაგრამ გადარჩნენ.

„ეს უდიდესი დანაკლისია ჩვენი ფეხბურთისთვის. მისი ოჯახის გულისტკივილი კი ყოველი ჩვენგანის ტკივილია" — წერდა ერთი გაზეთი პირველ გვერდზე. გარდაცვლილის ოჯახს ქვეყნის პრეზიდენტმა ტაბო მბეკიმ მიუსამძიმრა.

ლესლი მანიატელამ იმ საბედისწერო დღემდე ერთი კვირით ადრე „იომო კოსმოსის" წინააღმდეგ მორიგი ტურის მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

სამხრეთაფრიკელი ფორვარდის სანაკრებო დებიუტი შარშან მაისში, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შედგა. „ბაფანა-ბაფანას" მაისურა მანიატელამ ცხრაჯერ მოირგო და სამი გოლითაც შეეწია გუნდს.

**ვაჟა ხუციშვილი**


სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

# ლუდის ქარხანა ცხრილის სათავეში

## არგენტინა

### აპერტურა. II ტური

ველესი — ბანფილდი 0:3; ლანუსი — კოლონი 0:0; ატლეტიკო რაფაელა — არსენალი 1:0; ოლდ ბოიზი — ინდეპენდიენტე 0:0; რასინგი — სან ლორენსო 1:0; ტალიერესი — ოლიმპო 1:0; ჩაკარიტა — ხიმნასია 2:2; ნუევა ჩიკაგო — კილმესი 0:2; ბოკა ხუნიორსი — როსარიო 4:0; ესტუდიანტესი — რივერ პლეიტი 3:0



ბოკელი კარლოს ტევესი ჩვეულად გოლაობს

აი, ასეთია კარლოს ბილარდოს „ესტუდიანტესი“. ახალდაწყებული აპერტურას მეორე ტურში მან 3:0 მოუგო კლაუსურას ჩემპიონ „რივერ პლეიტს“. ლაპლატელებმა პირველი ტაიმის ოცწუთიან მონაკვეთში იმძლავრეს. ჯერ იყო და პარაგვაელმა მცველმა რიკარდო როხასმა გაიტანა თავისივე კარში, ამას კი ერნესტო ფარიასმა და ესეკიელ მაიოლომ მიაყოლეს თითო ბურთი.

„რივერის“ მეკარემ ფრანკო კოსტანსომ რამდენიმე კარგი ბურთი აიღო, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა მისი თანაგუნდელები ყურებჩამოყრილნი ზოზინებდნენ მინდორზე. წაგებულებს აკლდათ გუნდში ევროპიდან დაბრუნებული მარსელო სალასი, რომელიც შუა კვირაში ვარჯიშზე დაშავდა.

„ჩვენ კარგად ვირბინეთ და ბურთიც კარგად გავათამაშეთ“ — თქვა ბილარდომ მატჩის შემდეგ. მის ხელქვეით, თუკი გასული კლაუსურას ბოლო მატჩებსაც მივათვლით, „ესტუდიანტესმა“ ხუთჯერ მოიგო, ამდენჯერვე ფრედ ითამაშა და ერთადერთხელ წააგო.

„რივერის“ ჩამოძინებით ისარგებლა „ბოკამ“, რომელმაც 4:0 მოუგო „როსარიო სენტრალს“ და ორი თამაშიდან ორი მოგებით ცხრილს სათავეში მოექცა. „ბოკამ“ ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანა. აქედან პირველი ორი გილერმო ბაროს შელოტომ: ჯერ პენალტით და მერე თამაშიდან. „ბოკელთაგან“ საუკეთესონი იყვნენ 19 წლის კარლოს ტევესი, რომელმაც ერთი ბურთი შეაგდო და ახალნაყიდი ბრაზილიელი იარლეი. აქვე გავიხსენოთ, რომ „როსარიომ“ კლაუსურას ბოლო ტურში 7:2 მოუგო „ბოკას“, რომელმაც ლიბერტადორესის თასის ზეიმზე დატოვა ძირითადი გუნდი, როსარიოში კი სათადარიგონი გაგზავნა.

„ბოკასავით“ ორი მოგება აქვს ლიგაში წლეულს გადასულ „კილმესს“, ლუდისმსხმელთა გუნდს, რომელმაც ამჯერად „ნუევა ჩიკაგოს“ სძლია 2:0 პაბლო გარნიერისა და დიეგო სებალოსის თამაშის ბოლო ათ წუთში გატანილი გოლებით.

**ონორიო ბუსტოს დომეძი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| კილმესი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ბანფილდი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ინდეპენდიენტე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ჩაკარიტა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ტალიერესი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| რასინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ესტუდიანტესი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ატლ. რაფაელა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| რივერ პლეიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| როსარიო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| ლანუსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კოლონი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ოლდ ბოიზი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ხიმნასია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ოლიმპო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სან ლორენსო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ნუევა ჩიკაგო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ველესი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

## სლოვაკეთი

### I ლიგა. IV ტური

ბანსკა ბისტრიცა — პეტრჟალკა 5:2; პუხოვი — ტრენჩინი 2:0; დუბნიცა — ტრნავა 2:1; ჟილინა — ინტერი 2:2; სლოვანი — რუზომბეროკი 2:1

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. III ტური

ჟიჟკოვი — ბლშანი 2:0; ბუდეიოვიცე — ბრნო 0:2; პრჟიბრამი — სპარტა 0:0; ლიბერეცი — პლზენი 3:1; სინოტი — ბანიკი 0:2; ოპავა — იაბლონეცი 1:1; სლავია — ზლინი 2:0; სიგმა — ტეპლიცე 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| ბანიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ტეპლიცე | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ბრნო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| სიგმა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ჟიჟკოვი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| სპარტა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 5 |
| ლიბერეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| პრჟიბრამი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ზლინი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ოპავა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| იაბლონეცი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| პლზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| სინოტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ბლშანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ბუდეიოვიცე | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

## ირლანდია

### პრემიერდივიზიონი. XVII ტური

სენტ პატრიკზი — დუბლინი 2:0; შელბურნი — კორკ სიტი 1:1; დერი სიტი — შემროკ როვერსი 1:1; დროჰედა — ბოჰემიანსი 1:2; ლონგფორდი — უოტერფორდი 1:0

## აშშ

### MLS. XVIII ტური

კანზას სიტი — სან ხოსე 0:1; ჩიკაგო ფაიარი — ნიუ იორკ მეტროსტარზი 1:1; დისი იუნაიტედი — ნიუ ინგლენდი 1:0; ლოს ანჯელეს გალაქსი — კოლუმბუს ქრიუ 3:1; კოლორადო რაპიდსი — დალასი 2:0

## ისლანდია

### პრემიერდივიზიონი. XIII ტური

ვესტმანაეიარი — გრინდავიკი 1:0; აკრანესი — ფრამი 2:1; ჰაფნარფიორდური — ფილკირი 1:2; რეიკიავიკი — აკურეირი 2:1; თროტური — ვალიური 0:1

## შვედეთი

### ალსვენსკა XVII ტური

**ელფსბორგი 1:0 იორებრო**

**იოსტერი 3:0 ლანდსკრონა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 17 | 12 | 1 | 4 | 39:14 | 37 |
| ჰამარბი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:16 | 31 |
| ჰალმსტადი | 17 | 9 | 3 | 5 | 29:19 | 30 |
| მალმიო | 17 | 8 | 5 | 4 | 30:16 | 29 |
| იორგრიტე | 17 | 8 | 2 | 7 | 26:29 | 26 |
| აიკ | 17 | 7 | 4 | 6 | 25:22 | 25 |
| ჰელსინგბორგი | 16 | 7 | 3 | 6 | 16:23 | 24 |
| გიოტებორგი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:15 | 22 |
| იორებრო | 17 | 6 | 4 | 7 | 19:24 | 22 |
| ლანდსკრონა | 17 | 5 | 6 | 6 | 16:21 | 21 |
| ელფსბორგი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:24 | 20 |
| სუნდსვალი | 16 | 2 | 7 | 7 | 15:22 | 13 |
| იოსტერი | 17 | 3 | 4 | 10 | 15:29 | 13 |
| ენკოპინგი | 17 | 2 | 4 | 11 | 17:35 | 10 |

## დანია

### სუპერლიგა. III ტური

ესბიერგი — კოპენჰაგენი 1:1; ოლბორგი — ფრემი 0:1; ნორდსიელანდი — ოდენსე 2:0; ჰერფიოლგე — ვიბორგი 2:1; მიდტიულანდი — აკადემისკი 3:0; ბრონდბიუ — ორჰუსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| მიდტიულანდი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ოდენსე | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ნორდსიელანდი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ესბიერგი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| კოპენჰაგენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ოლბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ჰერფიოლგე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ფრემი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ვიბორგი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ორჰუსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| აკადემისკი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

### I დივიზიონი. II ტური

ბ-1913 — სკიოლდი 0:2; ბრიონშოი — იოლსტიკე 1:3; ნორდიულანდი — სილკებორგი 1:2; ბ-93 — ჰორსენსი 1:3; ფრემადი — ფკ ორჰუსი 3:1; რანდერსი — კიოგე 2:1; ნიკიობინგი — სიონდერიულანდი 3:1; ვაილე — ფრედერისია 1:0

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XVI ტური

**მიოლდე 0:2 ბოდიო გლიმტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 16 | 12 | 3 | 1 | 40:12 | 39 |
| სოგნდალი | 16 | 8 | 4 | 4 | 31:22 | 28 |
| ბოდიო გლიმტი | 16 | 8 | 4 | 4 | 22:16 | 28 |
| ვიკინგი | 16 | 6 | 7 | 3 | 28:17 | 25 |
| სტაბეკი | 16 | 6 | 6 | 4 | 24:20 | 24 |
| ოდ გრენლანდი | 16 | 7 | 3 | 6 | 26:26 | 24 |
| ბრინი | 16 | 7 | 1 | 8 | 28:28 | 22 |
| ლილესტრიომი | 16 | 5 | 6 | 5 | 17:22 | 21 |
| ვოლერენგა | 16 | 4 | 6 | 6 | 19:19 | 18 |
| ბრანი | 16 | 4 | 6 | 6 | 22:27 | 18 |
| მოლდე | 16 | 5 | 2 | 9 | 18:27 | 17 |
| ლინი | 16 | 4 | 4 | 8 | 19:30 | 16 |
| ტრომსიო | 16 | 3 | 4 | 9 | 19:35 | 13 |
| ალესუნდი | 16 | 2 | 6 | 8 | 17:29 | 12 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. II ტური

**ალემანია 2:2 მაინცი**

0:1 აუერი (19), 1:1 კრონტირისი (32), 1:2 ტიურკი (66), 2:2 გრლიჩი (90გ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ნიურნბერგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ტრირი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| მაინცი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| რეგენსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ალენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ობერჰაუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| კარლსრუე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| კოტბუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ოსნაბრიუკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| დუისბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ალემანია | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ლიუბეკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ფიურტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| არმინია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ბურგჰაუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| უნიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| აუე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

# მოსალოდნელია ლიდსის ლამინირება საკოშ უსახობას გარიდება არჩია

**საფრანგეთის** ჩემპიონატი დაიწყო, მაგრამ მიდი-მოდი არ შეჩერებულა. ზოგიერთმა გუნდმა ორი ტურის შემდეგ შეამჩნია, რომ გაძლიერება სჭირდება, ზოგსაც ზედმეტი ფეხბურთელები აღმოაჩნდა.

ზედმეტობა „მარსელმა“ იგრძნო. ალან პერენმა ძირითადი თერთმეტეული უცბად შეათამაშა და ორ მოთამაშეს გზა დაულოცა.

პირველი პოლონელი ნახევარმცველი პიოტრ სვიერჩევსკი გახლავთ, რომელსაც კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ კონტრაქტი და არა მომავალი. შარშან „ბირმინგემში“ დროებით განათხოვრებულმა 31 წლის პოლონელმა ადგილი ვერც ინგლისში იპოვა და „მარსელი“ თავისი ნებით დატოვა. ალან პერენის საამქროში.



ლამინ საკო

შესაძლოა, სვიერჩევსკი სამშობლოში დაბრუნდეს და ვარშავის „ლეგიას“ შეეკედლოს. ვარშაველებმა ამის სურვილი ფეხბურთელს უკვე გაუმჟღავნეს.

„მარსელში“ უადგილობას ლამინ საკოც უჩიოდა. იბრაჰიმ ბაკაიოკოს და ახალწვეულების — დიდიე დროგბსა და ჰორამ აჰმედ მიდოს კომპანიაში საკომ თავი ვიწროდ იგრძნო და მწვრთნელისგან ძირითად შემადგენლობაში გამწესებას ამაოდ ელოდა. ამიტომაც ინგლისის გზას დაადგა და ფინანსურად მოტეხილ „ლიდსს“ შეუერთდება. ფორვარდმა ახალ გუნდში ორ ამხანაგურ მატჩში ითამაშა და „ლიდსის“ თავკაცი პიტერ რიდი მოხიბლა. ფრანგულ-ინგლისური მხარეები საიჯარო თანხაზე თუ მორიგდნენ, ლამინ საკო ალბათ რიდის ქვეშევრდომი გახდება.

საფრანგეთის ჩემპიონი „ლიონი“ უანდერსონობამ დაასუსტა, სიდნეი გოვუც ტრავმირებულია. „ლიონს“ ჩემპიონთა ლიგა ელის და თავდასხმის გაძლიერებას ელტვის. კლუბის პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ თქვა, სატრანსფერო დავთარი ჯერ ღიაა და 31 აგვისტომდე ერთი ფორვარდი აუცილებლად უნდა დავიმატოთ, რადგან ლიგაში ასე გაგვიჭირდება: „ჩვენ ფერნანდო მორიენტესის, სამუელ ეტოოს, პედრო პაულეტას და ემილ ჰესკის გადმობირებას ვცდილობდით, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მეგოლეები გუნდში კი გვყავს, თუმც, ვფიქრობ, არასაკმარისად. ამიტომ თვის ბოლომდე ერთი თავდამსხმელის შეძენას აუცილებლად ვეცდებით. ვინ იქნება „ლიონის“ ახალი წევრი, ჯერ ვერ გეტყვით“ — დასძინა ჟან მიშელ ოლამ.

ჩემპიონატის დასაწყისშივე ნაგვემ „ბორდოს“ მეგოლე უეჭველად სჭირდება. პედრო პაულეტას ნაცვლად ბრაზილიელი ბომბარდირი დეივიდი კი გადაიბირეს, მაგრამ მას პაულეტამდე ბევრი უკლია. ჟირონდელებმა შვედეთის ჩემპიონატის ლიდერს, „იურგორდენს“ მიმართეს, ეგებ თქვენი ფორვარდი კიმ კალსტრომი დაგვითმოთო. კიმ კალსტრომის თამაში ვისაც უნახავს, თურმე ყველა ძალიან აქებს. თვით „მილანი“, „ლივერპული“ და დორტმუნდის „ბორუსიაც“ კი დაინტერესებულან შვედით. „იურგორდენის“ თავმჯდომარემ ბო ლუნდკვისტმა დაადასტურა ფრანგთა ინტერესი და თქვა: „ამ ტრანსფერის განხორციელება სავსებით რეალურია. ჩვენს ფეხბურთელს ამჟამად არაერთი მსურველი გამოუჩნდა. ჯერ შემოთავაზებულ პირობებს განვიხილავთ და, ცხადია, უკეთესზე დავთანხმდებით“.

**გაგა ხუციშვილი**

## ამხანაგური მატჩები

20 აგვისტო

**ურუგვაი — არგენტინა**

**არგენტინა**

მეკარეები: პაბლო კავალიერო (სელტა, ესპანეთი), ლეო ფრანკო (მალიორკა, ესპანეთი);
მცველები: ფაკუნდო კიროგა (სპორტინგი, პორტუგალია), რობერტო აიალა (ვალენსია, ესპანეთი), ვალტერ სამუელი (რომა, იტალია), გაბრიელ ჰაინცე (პსჟ, საფრანგეთი), დიეგო პლასენტე (ლევერკუზენი, გერმანია), ხავიერ ძანეტი (ინტერი, იტალია);
ნახევარმცველები: მატიას ალმეიდა (ინტერი, იტალია), ლუის გონსალესი (რივერ პლეიტი), ხუან სებასტიან ვერონი (ჩელსი, ინგლისი), პაბლო აიმარი (ვალენსია, ესპანეთი), ანდრეს დალესანდრო (ვოლფსბურგი, გერმანია), კილი გონსალესი (ვალენსია, ესპანეთი);
თავდამსხმელები: ხავიერ სავიოლა (ბარსელონა, ესპანეთი), ლუჩანო გალეტი (სარაგოსა, ესპანეთი), ერნან კრესპო (ინტერი, იტალია), დიეგო მილიტო (რასინგი), კლაუდიო ლოპესი (ლაციო, იტალია)

**დანია — ფინეთი**

**დანია**

მეკარეები: თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), პეტერ სკოვ-იენსენი (მიდტიულანდი);
მცველები: კასპერ ბოგელუნდი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), თომას ჰელვეგი (ინტერი, იტალია), რენე ჰენრიკსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია), მარტინ ლაურსენი (მილანი, იტალია), პერ ნილსენი (ბრონდბიუ), ესბიორნ სენელსი (ვიბორგი);
ნახევარმცველები: თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ჩარლტონი, ინგლისი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), თომას როლარსენი (კოპენჰაგენი), მორტენ ვიგჰორსტი (ბრონდბიუ), იესპერ გრონკიაერი (ჩელსი, ინგლისი), დენის რონედალი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია);
თავდამსხმელები: იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), ებე სანდი (შალკე, გერმანია), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია)

# ესაო, ისაო...
## ვერონი წავიდა, რონალდო მოვიდა
## მიეცით ფერგიუსონს ფული და...



**ხუან სებასტიან ვერონი**

15 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ჩელსიში" რუსი ოლიგარქის, რომან აბრამოვიჩის ახალწვეულთა გუნდში გაუშვა და...

„ფერგიუსონი ჩემს მიმართ გულწრფელი არ იყო — განაცხადა მანჩესტერელთა მწვრთნელის შესახებ არგენტინელმა — ორი თვის წინ ჩემი ყიდვა რამდენიმე კლუბს უნდოდა, მან კი განაცხადა, რომ არ ვიყიდებოდი. ერთი სიტყვით, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ფერგიუსონს ვჭირდებოდი, მაგრამ როგორც კი მეტი ფული დაანახეს, დამოკიდებულება შეეცვალა. ჩემთვის ეს ძალიან მძიმე გადასატანი გამოდგა. კლუბში აშკარად რაღაც პროცესი მიდიოდა და მანჩესტერში მის არსებობას ვერავინ უარყოფდა, ამიტომ იძულებული ვიყავი პირველად მისთვის მეკითხა: გჭირდებით გუნდში თუ არა? მივიღე ჩახლართული საუბარი ნახევარდაცვაზე და ტაქტიკაზე, რასაც ბოლოს მიაყოლა, რომ ძნელი იქნება ჩემთვის სასტარტო შემადგენლობაში ადგილის გამონახვა თუ ეს, ის და კიდევ რამდენიმე ის მოხდება. ასეთი პასუხის მოსმენამ გამაღიზიანა და ვუთხარი, რომ სასტარტო შემადგენლობაში მუდმივად ყოფნაზე კი არა, გუნდში ჩემს საჭიროებაზე ვეკითხებოდი. მაშინ ფერგიუსონმა დაიწყო „ჩელსის" საინტერესო პროექტისა და მომაჯადოვებელ პერსპექტივებზე საუბარი. ერთი სიტყვით, მივხვდი, რომ ფულის ამბავი იყო. ავუხსენი კიდეც, რომ ჩემთვის ფულს ამხელა მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა თავადვე მივხვდი, რომ იმწუთას გარდატეხის წამი მედგა".

ამრიგად, „მანჩესტერ იუნაიტედმა" ხუან ვერონი გაუშვა, მიყვანით კი ბრაზილიელი კლებერსონი მიჰყავს, ოღონდ ერთია, კლებერსონს დიდ ბრიტანეთში მუშაობის ნებართვა სჭირდებოდა და შესაბამის სამსახურში ეს საკითხი წარმატებით განიხილეს კიდეც. ამ



სერ ალექს ფერგიუსონი

დღეებში ალექს ფერგიუსონი თავად ესწრებოდა საქმის განხილვას, რომელიც 6 მილიონ გირვანქად ნაყიდი 24 წლის ფეხბურთელისთვის ნებართვის გაცემით დასრულდა.

კლებერსონის გარდა მანჩესტერის მიმართულებით (ოღონდ ლისაბონიდან) მიემართება ამომავალი პორტუგალიელი ვარსკვლავი კრისტიანო რონალდოც. აქამდე ის „სპორტინგში" თამაშობდა. ამბობენ, რომ ხუთწლიან კონტრაქტის საფასური 6,5 მილიონი გირვანქა იქნება. კრისტიანო რონალდო 18 წლისა გახლავთ.

კრისტიანო რონალდოს სრული სახელია კრისტიანო რონალდო სანტოს ავეირო, რომელსაც „ლივერპულსა" და „რეალსაც" უკავშირებდნენ. მის აღზრდაში ღვაწლი „სპორტინგის" ყმაწვილთა, აკადემიას მიუძღვის, ხოლო მთელ ამ ამბავში წესით „რეალის" ახალი და აქამდე „მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე მწვრთნელი კარლუშ კეიროში უნდა იყოს გარეული.

რაც შეეხება „აიაქსის" მცველს, ჰატემ ტრაბელსის, რომელიც თითქოსდა ფერგიუსონის კიდევ ერთი ახალწვეული უნდა გამხდარიყო, ალბათ ამსტერდამშივე დარჩება, რადგან „აიაქსის" მწვრთნელმა, რონალდ კუმანმა ამ ტრანსფერის წინააღმდეგ საშინლად გაილაშქრა.

„ფეხბურთელისა რა გითხრათ, მის აგენტებს კი, როგორც ჩანს, ძალიან უნდათ რომ ტრაბელსი ჩვენგან წავიდეს" — განრისხდა კუმანი.

„მანჩესტერ იუნაიტედი" ტრაბელსში 7 მილიონი ევროს გადახდას აპირებდა.

**პაპუნა ძიძია**



„მანჩესტერის" ახალწვეულები: რონალდო და კლებერსონი



# ბიჭი რაინდის ახალი ცხოვრება
## იხალისეთ ჩარლტონელი დი კანიოთი

**შეშლილი** პაოლო დი კანიო „ვესტ ჰემში" თამაშისას კვირაში 40 ათას გირვანქას იღებდა, „ჩარლტონში" კი 15 ათასს მიიღებს. ხელფასის შემცირება, დაგვეთანხმებით, თვალშისაცემია, მაგრამ დი კანიოსას რას გაიგებ. მოაწერა თუ არა „ჩარლტონთან" კონტრაქტს ხელი, 35 წლის ფეხბურთელი კლუბის მაღაზიაში შევიდა და, 650 გირვანქის... მაისურები იყიდა. როდესაც პირდაღებულმა გამყიდველებმა ჰკითხეს, რად უნდოდა ამდენი მაისური, მან მიუგო, რომ თითოეულზე მისი ნომერი, 11, და მისი გვარი უნდა ამოატვიფრინოს. აღსანიშნავია, რომ დი კანიოს თითოეული ასო ერთი, ხოლო თითოეული ციფრი 2 გირვანქა დაუჯდა...

მაშ ასე, ვეტერანი და აშკარად გიჟმაჟი იტალიელი ახალი „ფოკუსების" მოსაწყობად ლონდონის მყუდრო გარეუბანში გადაბარგდა, რათა იქაური მაცხოვრებლების შვილებს, როგორც ამბობენ, უცნაური ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, საკამათო მაგალითი მისცეს. მისი საქციელი ხომ ერთი მხრივ აღაშფოთებთ და მეორე მხრივ მოსწონთ.

გავიხსენოთ დი კანიოს ოფოფების ჩადენილი ამბები?

აი, მაგალითად, „ვესტ ჰემში" თამაშის დროინდელი პირველი ამბავი: დი კანიომ ერთი ამბავი ატეხა თვითმფრინავიდან ჩამიყვანეთ, ცუდი წინათგრძნობა მაქვს და რამე მოგვივა, ლივერპულში მატარებლით წამიყვანეთო. ვერაფრით რომ დაამშვიდეს, კლუბის დირექტორმა მართლაც მანქანაში ჩაისვა და ისე გაეშურა „ენფილდ როუდისკენ".

კიდევ უცნაური ის გახლავთ, რომ დი კანიო ჩრდილოეთში იშვიათად დადის. რისი ბრალია ეს? არავინ იცის, თუმცა დახეთ, როგორი სტატისტიკაა: ლივერპულში — რაც დი კანიო „ვესტ ჰემის" ფეხბურთელია — გუნდი ოთხჯერ ჩავიდა სათამაშოდ, იტალიელი კი ამ ოთხიდან მხოლოდ ერთხელ ჩაჰყვა. ლიდსსა და ნიუკასლში ამიერიდან „ჩარლტონის" ვარსკვლავი ერთხელაც არ ყოფილა, ხოლო მანჩესტერსა და მიდლსბროში თითოჯერ ბრძანდებოდა და ეს არის. საბოლოოდ ასე გამოვიდა: დი კანიოს დროის „ვესტ ჰემი" ზემოთ ჩამოთვლილ ხუთ ქალაქში 19-ჯერ გახლდათ, სამხრეთელი ფორვარდი კი მხოლოდ სამჯერ.

„ჩარლტონში" მისულმა დი კანიომ იქაურ ბოსს, ალან კერბიშლის პირობა დაუდო, რომ ყოველდღე მიასწრებს თანაგუნდელებს ვარჯიშებზე და მათ მოსვლამდე თავის დამატებით წილს იმუშავებს.

„ჩარლტონ ატლეტიკის" აღმასრულებელი შეფი პიტერ ვერნი: „პაოლომ გარკვევით გვითხრა, რომ სხვებზე ერთი საათით ადრე აპირებს მოსვლას. ვგონებ, ჩვენს გარემოს ძალიან მალე შეეჩვევა. ის მაღალი დონის ფეხბურთელია, რომელსაც ხალხის გახალისება ეხერხება".

მაგრამ ილაპარაკო დი კანიოზე და მხოლოდ მისი სიგიჟეები გაიხსენო, არ იქნება მართალი. განა შეიძლება იმის დავიწყება, რომ მან 2001 წელს ფიფასგან ფეარ პლეის ჯილდო მიიღო? ეს ისტორია მრავალჯერ დაგვიწერია, მაგრამ იმდენად საინტერესოა, რომ გამეორებად ღირს:

„ევერტონთან" შეხვედრის დროს, მეტოქის გოლკიპერი პოლ ჯერარდი დაშავდა და ბალახზე გაიშოტა, ამ დროს კი ტრევორ სინკლერმა დი კანიოს ჩააწოდა ბურთი. ერთი სიტყვით, დაარტყი და შეაგდე ცარიელ კარში, მაგრამ იტალიელმა ბურთი მოიშორა და თითი წაქცეული გოლკიპერისკენ გაიშვირა.

მაშ, დი კანიო ნამდვილი სპორტსმენია? მაგრამ, როგორ! აბა, გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც დი კანიო „შეფილდ უენსდეიში" თამაშობდა და „არსენალთან" შეხვედრის დროს, მსაჯ პოლ ოლკოკზე გაბრაზებულმა იგი ნოკაუტში ჩააგდო. ეს 1998 წელს მოხდა, ამ სრული ველურობის გამო დი კანიო 10 ათასი გირვანქით და თერთმეტთამაშიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. მას მერე იტალიელს „შეფილდში" აღარ უთამაშია. „ვესტ ჰემის" მწვრთნელმა, ჰარი რედნაპმა პაოლო დი კანიო მხოლოდ და მხოლოდ 1,7 მილიონ გირვანქად ჩაიგდო ხელთ და ამით ფეხბურთელის ცხოვრებაში ახალი თავი დაიწყო, რომელიც ახლახან დასრულდა, ლონდონელთა ახალ თავკაცთან, გლენ როოდერთან კონფლიქტით.

რა გამოვტოვეთ? ალბათ, მეკარე დევიდ ჯეიმსის ლანძღვა, „ასტონ ვილას" ქომაგებისთვის უზრდელური ჟესტების ჩვენება, „ბლექბერნთან" 1:7 წაგების შემდეგ თანაგუნდელებზე ცოფიანი თავდასხმა და რეკლამირებული, ოღონდ არახდენილი ტრანსფერი „მანჩესტერ იუნაიტედში".

დანარჩენი? დანარჩენი „ჩარლტონ ატლეტიკში" იყოს.

**პაპუნა ძიძია**









*ლუიშ ფიგუ მადრიდის „რეალში" მეოთხე სეზონს იწყებს. იგი მთლიანად შეერწყა „სამეფო გუნდს" და ამბობენ, ახლა რომ სეზონი მოდის, მისი ბრწყინვალებისა იქნებაო. ამიტომაც დაინტერესდნენ საგანგებოდ მისი შეხედულებებით და მადრიდიზმის განცდით გაზეთ „მარკას" კორესპონდენტები*




# ფეხბურთი, ბატონო ჩემო, სიურპრიზების სამყაროა

— მეოთხე სეზონი იწყება, რაც თქვენ „რეალში" ხართ. რა შეგიძლიათ თქვათ?

— მართლაც რა სწრაფად გარბის დრო. ფეხბურთი იმდენად დაძაბული თამაშია, იმდენ მატჩს ვატარებთ, იმდენს ვმოგზაურობთ აქეთ-იქით, რომ... ყველაფერმა ჩაიქროლა. რა თქმა უნდა, მძიმე წუთებიც არის, მაგრამ დროთა განმავლობაში ის დადებით გამოცდილებას იძლევა.

— რა ჩაგრჩათ გონებაში?

— რაიმე ერთის გამორჩევა სწორი არ იქნება. იყო, რა თქმა უნდა, ცუდიც, მაგრამ ვცდილობდი ცუდი მაგალითად მიმეღო და მესწავლა. იცით, ფეხბურთი ამოუცნობი რამ არის. როდესაც „რეალში" გადავედი, არ ვიცოდი რა მელოდა, ამიტომ ყველაფრით, რაც მოხდა, კმაყოფილი გახლავართ. მადრიდში როგორც სპორტული, ასევე ოჯახური თვალსაზრისით მშვიდად ვარ.

— რას შეეჯახეთ „რეალში"?

— ადამიანი პიროვნება უნდა იყოს, ფეხბურთელი — გამარჯვებული. ხალხი ვერ ხვდება, რომ ყოველწლიურად ერთი და მეტი ჯილდოს მოგება ძალიან ძნელია. მე კი „რეალში" მიღწეულით სიამაყის საფუძველი მაქვს.

— ამდენი გამარჯვების შემდეგ კიდევ გაქვთ მიზანი?

— გაგიჟდით? რა თქმა უნდა, მაქვს. ყველაფრის მოგება მწადია. ვისაც გინდათ ჰკითხეთ ჩემი სურვილების შესახებ. ვიმეორებ, ყველაფრის მოგება მინდა და სეზონს ამ მიზნით ვიწყებ. ჩემპიონთა ლიგა და ესპანეთის ჩემპიონობა უფრო პრესტიჟულია, ვიდრე სხვები, მაგრამ მე ის ნაკლებადპრესტიჟულებიც მინდა.

— კონტრაქტით სამი წელიწადი დაგრჩათ. თავს როგორ გრძნობთ, გინდათ, რომ ეს სამი წელი „რეალში" ჩამთავრდეს?

— დიახ, მინდა. თუ საქმეები ისე წავა, როგორც აქამდე მიდიოდა, პრობლემას ვერ ვხედავ. თუ შევატყობ, რომ დღევანდელივით შემეძლება თავდადება, კონტრაქტს ამოვწურავ.

— თავიდან წარმოიდგენდით, რომ „რეალთან" გაგაიგივებდნენ?

— დიახ, იმიტომ, რომ თუ საქმე, რომელსაც ხელს ვკიდებ, მომწონს, ვერწყმი, მესამე წლის ბოლო პირველი წლის დასაწყისი არ არის. ახლა გაცილებით ფართო კონტაქტები მაქვს, ვიცი კლუბის ავან-ჩავანი. დროთა განმავლობაში ადამიანი აფასებ მოვლენებს და ყოველ კერძო სიტუაციაში იცი, როგორ უნდა გამოადგე კლუბს. არ მინდა დავმალო, რომ თავს მადრიდისტად ვგრძნობ. ხალხიც თანდათანობით მეჩვევა, კლუბთან მაიგივებს. როცა საქმეში ხარ, ხვდები რას ნიშნავს იქაურობა.

— არ გაშინებთ ის განზომილება, „რეალმა" რომ მიიღო? არ გვითხრათ ახლა, რომ აზიაში როგორც დაგხვდნენ, ეს ნორმალური ამბავი იყო.

— ეს არარეალურ ამბავს ჰგავდა. ჩვენ ფეხბურთელებს კი არა, როკ-ვარსკვლავებს ვგავდით, არადა, ჩვეულებრივი ადამიანები ვართ. ვგრძნობ, გარშემო რაც ხდება და არ გვინდა მიწას მოვწყდეთ. ერთი სიტყვით, ყოველივე ამისგან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაც დრო გადის, მით მეტი მოგვეთხოვება. ეს არ გვაშინებს, მაგრამ მეტოქეებს კი ჩვენს წინაამდეგ სათამაშოდ საგანგებოდ მომზადებისკენ უბიძგებს. გამოდის, რომ ამიერიდან კიდევ უფრო მეტი უნდა ვირბინოთ, ვიბრძოლოთ, ვიმუშაოთ, თუმცა „რეალში" მოსვლის დღიდანვე ნათელი იყო, რომ მუშაობის და თავდადების გარეშე ვერაფერს მოვიგებთ.

— ახლა ბექჰემიც დაგემატათ. მაშ, მსოფლიოში საუკეთესო გუნდი გახდით?

— მსოფლიოს საუკეთესო გუნდს შედეგები გამოავლენს და არ არსებობს ქვეყნად ფეხბურთელი, რომელიც ამ შედეგებს გარანტირებულად მოიტანს. გასაგებია, რომ ბექჰემი შთამბეჭდავ მოთამაშეთა ჯგუფს შეუერთდა, მაგრამ ფეხბურთი იმითაა საინტერესო, რომ თამაშის შედეგს ვერ ამოიცნობ.

— გასაგებია, მაგრამ გვიპასუხეთ, არის თუ არა დღევანდელი „რეალი" მსოფლიოს საუკეთესო გუნდი?

— ამას „რეალის" პრეზიდენტი ამბობს ხოლმე (იცინის). როცა ვიმარჯვებთ, სხვებს მაშინ ვჯობივართ. ისე, აქამდე ყველაფერი კარგად იყო, ვიმარჯვებდით. ჩვენ მართლაც დიადი გუნდი გვყავს, მასში დიადი ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ შენთან პეპიტო და ხუანიტოც რომ თამაშობდნენ, თუ ვერ იგებ, ცუდია. მოკლედ, სეზონის ბოლოს გეტყვით, ვართ თუ არა მსოფლიოს უძლიერესი გუნდი. მე მინდა, რომ ვიყოთ.

— თქვენ შეგეცვალათ მწვრთნელი და მან შეგიცვალათ პოზიცია. მარჯვნიდან მარცხნივ გადახვედით... ან შუაში. როგორც ეს ტოკიოში ვნახეთ.

— მე თამაში მიყვარს, ხოლო სად, როგორ და როდის, ეს მწვრთნელმა გადაწყვიტოს. ისე, რასაც ჩემთვის ბუნებრივ პოზიციაზე მომთხოვდა, იმას სხვაგან ველარ მომთხოვს, მაგრამ მწვრთნელისა და გუნდის განკარგულებაში ვარ. მარჯვნიდან სხვა რალაცების კეთება შემიძლია, მარცხნიდან სხვა რალაცების. შევეცდები ყველაფერი რაც შეიძლება კარგად გამომივიდეს, ხოლო, რა გამოვა, ბოლოს ვნახოთ.

— თან ეს პოზიცია თქვენთვის სრულიად ახალიც არ არის.

— ნაკრებში მათამაშებდნენ, მაგრამ იქ კურტნის მუშა ვიყავი, ადაპტაციას გავდიოდი და ეს ძალიან მსიამოვნებდა. „რეალში" მანდ არასდროს მომისინჯავს ძალა. იცით, მარცხნივ ზოგი რამეები კარგად გამომდის, ხოლო ზოგი რამეები ცუდად. ასეთი ვარ, მიყვარს თამაში, განსაკუთრებით, როდესაც ვიგებ. ახლაც, ჩვეულებას არ დავარღვევ და რასაც მწვრთნელი მეტყვის იმას გავაკეთებ.

— თქვენი პოზიციის ცვლა გუნდის სქემასაც ცვლის. ამიერიდან ზიდანის მხარდამხარ და უფრო თავისუფლად მოგიწევთ თამაში.

— ამის გამო, ალბათ, დაცვა შეგვისუსტდება, მაგრამ თავდასხმა მნიშვნელოვნად გაგვიძლიერდება. მოკლედ, ჯერ სინჯების დროა, როდესაც ჩვენ მწვრთნელის სურვილები უნდა გავიგოთ. დიახ, სქემა იცვლება, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი მაინც კარგად იქნება, რადგან თუ შევატყობთ, რომ არაფერი გამოდის, ვერ ვხვდები, რატომ უნდა გავაგრძელოთ ჯიუტად იმის კეთება, რაც სწორი არ არის.

— ბოლო დროს ყველაზე გავრცელებული კითხვა ასეთია: რა უნდა შემატოს „რეალს" ბექჰემმა?

— გამოცდილება და ხარისხი. იმედი მაქვს, რომ „რეალში" ბედნიერი იქნება, რადგან ამით ჩვენც გაგვაბედნიერებს. თუ ასე მოხდება, საქმეები უთუოდ კარგად წავა.

— და, რა ვუთხრათ ადამიანებს, რომლებიც დღედალამ ფიგუსა და ბექჰემის კონფლიქტზე საუბრობენ?

— ცდებიან. არასდროს, არც ერთ თანაგუნდელთან არ მქონია პოლემიკა და არც ამიერიდან მექნება. ყველა უნდა მოერგოს იმას, რასაც მწვრთნელი ფიქრობს. მთავარია გუნდი მუშაობდეს და არა ვინმე ცალკე აღებული.

— ბევრის აზრით, მწვრთნელი და თქვენ დიდი ხნის ნაცნობები რომ ხართ, ეს თქვენ მოგცემთ უპირატესობას.

— ვეჭვობ, რომ კეიროშთან ნამუშევრობამ უპირატესობა მომანიჭოს. მწვრთნელი „რეალის" ყველა მოთამაშეს იცნობს. ისე, არის ვინმე, ვინც ჩვენ არ გვიცნობს? მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში, ყოველ დღე რომ არ დავრბოდე, არ ვიბრძოდე და არ ვმუშაობდე, ვერ ვითამაშებდი. ამის თქმა მით უფრო დღეს შეიძლება, „რეალში" ასეთ შემადგენლობაში თუ არ დარბიხარ და არ იხარჯები, ვერ მოხვდები.

— რისი მიცემა შეუძლია „რეალისთვის" კარლუშ კეიროშს?

— იგი ორგანიზატორული ნიჭით არის დაჯილდოვებული. მას სხვას ვერ შევადარებ, განსხვავებულია და იმიტომ. ის თავის მეთოდებს, თავისებურ ორგანიზაციას და გამოცდილებას დანერგავს. კეიროშის გუნდში ყოველთვის კარგი გარემოა. ის მშვიდი, მუშა და გამარჯვებული ფსიქოლოგიის მქონე ადამიანია.

— „რეალმა" სამუშაო რომ შესთავაზა, რჩევა თუ გთხოვათ?

— არა, საუბრის დრო არ გვქონდა. ის რომ მადრიდში ჩამოვიდა, მე არდადეგებზე ვიყავი, ხოლო როდესაც შევხვდით, გვკითხა, როგორ ვმუშაობთ და როგორი ჩვევები გვაქვს... ჩვეულებრივი კითხვები დასვა. მას უნდოდა შერწყმა, იმის გაგება, თუ როგორ ცხოვრობენ მადრიდის „რეალში".

— „რეალი" ესპანეთის ჩემპიონი რომ გახდა, ვისენტე დელ ბოსკესთან და ფერნანდო იეროსთან დაკავშირებული ამბავი მოხდა. ამან გაგაოცათ?

— დიახ. ლოგიკურია, ხომ? მთელს მსოფლიოს გაუკვირდა, ეს საყოველთაო გაოცება იყო. დელ ბოსკე შემეცოდა. სამი წლის მანძილზე იმდენი რამ გადაგვხდა და როდესაც ყოველივე ამის მერე ასე დამთავრდა, სევდა მომერია. ფეხბურთი, ბატონო ჩემო, სიურპრიზების სამყაროა. დღეს ეს ხალხი „რეალში" აღარ არიან, მაგრამ გულში ძალიან დიდხანს გვეყოლებიან.

— გაგიკვირდათ, რომ გამოაცხადეს, მწვრთნელი კეიროში იქნებაო?

— ძალიან. მასზე არც მიფიქრია, ყველა სხვებზე ლაპარაკობდა. ნამდვილი სიურპრიზი იყო.

— ახლა რა, ცენტრალური მცველი უნდა იყიდოთ?

— მე მწვრთნელი არ ვარ.

— კურიოზი ის გახლავთ, რომ ცენტრალური მცველის ყიდვაზე მადრიდში მთელი ამ წარმატებული წლების განმავლობაში ლაპარაკობდნენ.

— მსოფლიოს უძლიერესი ცენტრალური მცველი გვყავდა, მაგრამ ის ახლა ჩვენთან აღარ თამაშობს. მე მაინც ვფიქრობ, რომ არავის ყიდვა არ ღირს.

— თან იეროს წასვლა იმას ნიშნავს, რომ კაპიტანი რაული იქნება.

— რაული ამ ფუნქციას ფერნანდოსთან ერთად ასრულებდა. მან იცოდა, რომ ადრე თუ გვიან „რეალის" კაპიტანი უნდა გამხდარიყო. ის კლუბის სიმბოლოა და საამისოდ მზად არის. რაული ის კაცია, რომელიც იმარჯვებს და მწამს, კაპიტნობას მასზე უკეთ ვერავინ გასწევს.

— რაულის კონტრაქტზე ბევრს ლაპარაკობენ. როგორ ფიქრობთ, გაუგრძელებენ?

— ეჭვიც კი არ მეპარება. რაული მთელი ცხოვრება „რეალში" იქნება.

— ცვლილებები „ბარსელონაშიც" მოხდა. გიფიქრიათ მათზე? როგორ ფიქრობთ, ეს ცვლილებები კარგად წაადგება ამ კლუბს?

— იქ სხვა ფილოსოფიაა, საქმე სხვაგვარად მიჰყავთ, ხოლო იმაზე უარესს, რაც ბოლო დროს იყო, ვერ გააკეთებენ, ეს შეუძლებელია.

— მათ მიერ შეძენილ ფეხბურთელებზე რას იტყვით?

— მათ მაღალი კლასის ფეხბურთელები შეიძინეს. რონალდინიო მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავია, კვარეზმა ახალგაზრდაა, მაგრამ ძალიან ძლიერი, მისი პროგრესი თვალსაჩინოა, შორს წასვლა შეუძლია. „ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონატში ჩვენი კონკურენტი იქნება, ისევე, როგორც „ვალენსია" და „დეპორტივო". პლუს, აუცილებლად იქნება გუნდი სიურპრიზი. ვინ შეასრულებს ამ როლს? ალბათ, „ბეტისი" ან „სელტა".

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით**


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **I ტური** | | | | | | |
| | | **16 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 001 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 16.30 | 002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 003 | არსენალი-ევერტონი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 004 | არსენალი-ევერტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 19.00 | 005 | ბლეკბერნი-ვულვერჰემპტონი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 006 | ფულემი-მიდლსბრო | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 007 | ლესტერი-საუთჰემპტონი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 008 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 009 | მანჩესტერი-ბოლტონი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **17 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 010 | ლიდსი-ნიუკასლი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 18.00 | 011 | ჩარლტონი-სიტი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 20.05 | 012 | ლივერპული-ჩელსი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **კონფერენსი. II ტური** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 23.45 | 068 | აკრინგტონი-ლეი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **ბუნდესლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **16 აგვისტო** | | | | | | |
| 18.30 | 114 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 115 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 18.30 | 116 | ჰერტა-ფრაიბურგი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 117 | ჰანზა-აინტრახტი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 118 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 119 | ბაიერნი-ბოხუმი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 120 | ბაიერნი-ბოხუმი 1,65 | 3,3 | 3,3 | 1,1 | 1,1 | 1,65 | |
| 18.30 | 121 | დორტმუნდი-მიუნხენი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **17 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 122 | შალკე-კიოლნი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.30 | 123 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **XVII ტური** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 313 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **სუპერეტა** | | | | | | |
| | | **XIX ტური** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 322 | ბოდენსი-გეფლე | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| 22.00 | 323 | ჰეკენი-ფალკენბერგი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 22.00 | 324 | სილვია-ნორჩიოპინგი | 3,8 | 3,6 | 1,75 | 1,84 | 1,19 | 1,17 |
| 22.00 | 325 | კალმარი-ტრელებორგი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 22.00 | 326 | იფკ მალმიო-ფრიოლუნდა | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 327 | ატვიდაბერგი-ფორვარდი | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 22.00 | 328 | ასირისკა-ვესტეროსი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 22.00 | 329 | ოჰერა-ბრომაპოიკარნა | 2,05 | 3,4 | 3,2 | 1,27 | 1,24 | 1,64 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 352 | ჰაუგესუნდი-რაუფოსი | 2,2 | 3,6 | 2,7 | 1,36 | 1,21 | 1,54 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **ვეიკაუსლიგა** | | | | | | |
| | | **XVI ტური** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 365 | ლაჰტი-ინტერი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.15 | 421 | ბრნო-ოპავა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 422 | ბრნო-ოპავა 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **აპერტურა** | | | | | | |
| | | **I ტური** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 06.30 | 540 | პუმასი-ამერიკა | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

I ტური

13 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 419 | ლიბერეცი-ბლშანი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 420 | ლიბერეცი-ბლშანი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

ინგლისი

ლიგის თასი

I ეტაპი

13 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 605 | [illegible] | 4,6 | 3.6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| 23.45 | 606 | [illegible] | 1,4 | 4.0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 23.45 | 607 | [illegible] | 1,45 | 3.8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| [illegible] | 608 | [illegible] | 1.25 | 5.0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 609 | [illegible] | 4,4 | 3.5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 23.45 | 610 | [illegible] | 1,55 | 3.6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.45 | 611 | [illegible] | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1.01 | 1,13 | 3,04 |

იაპონია. თასი

1/4 ფინალი. I მატჩები

13 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 700 | [illegible] | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 15.00 | 701 | [illegible] | 2,2 | 3.3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 15.00 | 702 | [illegible] | 2,2 | 3.3 | 3.0 | 1.32 | 1,26 | 1,57 |
| 15.00 | 703 | [illegible] | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |

ჩემპიონთა ლიგა

III ეტაპი.

I მატჩები

13 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 634 | შახტარი-ლოკომოტივი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 23.00 | 635 | გალათასარაი-ცსკა(ს) | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 23.00 | 636 | ჟილინა-ჩელსი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 23.00 | 637 | მტკ-სელტიკი | 4.0 | 3.3 | 1,8 | 1.8 | 1,24 | 1.16 |
| 23.00 | 638 | ვარდარი-სპარტა | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1.26 | 1,21 |
| 23.30 | 639 | ანდერლეხტი-ვისლა | 1.5 | 3.6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.30 | 640 | აუსტრია-მარსელი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.30 | 641 | ბრიუგე-დორტმუნდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.30 | 642 | გრასჰოპერი-აეკ | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 23.30 | 643 | პარტიზანი-ნიუკასლი | 2,9 | 3,2 | 2.3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 644 | რეინჯერსი-კოპენჰაგენი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 645 | რუსენბორგი-დეპორტივო | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 24.00 | 646 | ლაციო-ბენფიკა | 1.5 | 3,6 | 6.5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

უეფას თასი

I ეტაპი. I მატჩები

13 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 650 | ვენტსპილსი-პლოცკი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

14 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 651 | ატირაუ-ლევსკი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 19.00 | 652 | ნემანი-სტიაუა | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 20.00 | 653 | ლევადია-ვარტეკსი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 20.00 | 654 | ჟიჟკოვი-ჟენისი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 20.00 | 655 | დინამო(ტ)-ლოკერენი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 20.00 | 656 | ეკრანასი-დებრეცენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.00 | 657 | პუხოვი-სიონი(შ) | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 20.00 | 658 | ცემენტარნიცა-კატოვიცე | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 20.05 | 659 | მიუპა-იანგ ბოისი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 20.30 | 660 | პუბლიკუმი-ბელასიცა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 21.00 | 661 | კერნტენი-გრინდავიკი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 21.00 | 662 | პეტრჟალკა-დუდელანჟი | 1,07 | 8,0 | 20,0 | 1 | 1,01 | 5,71 |
| 21.00 | 663 | ტორპედო(მ)-დომანიანო | 1,01 | 11,0 | 40,0 | 1 | 1 | 8,62 |
| 21.30 | 664 | აპოელი-დერი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.45 | 665 | ეტცელა-კამენი | 10,0 | 5,0 | 1,25 | 3,33 | 1,11 | 1 |
| 21.45 | 666 | ქუიმბრანი-მაკაბი(ჰ) | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| 22.00 | 667 | ნორდსიელანდი-შირაქი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 22.00 | 668 | ვლაზნია-დანდი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 22.00 | 669 | ესბიერგი-სანტა კოლომა | 1,02 | 10,0 | 40,0 | 1 | 1 | 8 |
| 22.00 | 670 | დინამო(ბქ)-მეტალურგსი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 22.00 | 671 | მოლდე-კლაკსვიკი | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| 22.30 | 672 | ვადუცი-დნიპრო | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| 22.30 | 673 | ლიტექსი-ზიმბრუ | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 22.45 | 674 | ბირკირკარა-ფერენცვაროში | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 23.00 | 675 | პაპოელი-ბანანცი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 23.00 | 676 | ოლიმპია-შელბურნი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 23.00 | 677 | ლანსი-ტორპედო(ქ) | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,19 |
| 23.00 | 678 | ოდენსე-ტალინი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 23.00 | 679 | ცრვენა ზვეზდა-ნისტრუ | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 23.00 | 680 | გროცლინი-ატლანტასი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.00 | 681 | მალმიო-პორტადაუნი | 1,08 | 8,0 | 17,0 | 1 | 1,01 | 5,44 |
| 23.00 | 682 | ბრიონდბიუ-დინამო(მნ) | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.15 | 683 | ჟელეზნიჩარი-ანორთოსისი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 23.30 | 684 | აიკ-ფილკირი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 23.30 | 685 | კოლრეინი-ლეირია | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| 23.45 | 686 | სიტი-ტნს | 1,02 | 11,0 | 30,0 | 1 | 1 | 8,04 |
| 23.00 | 687 | რუნავიკი-ლინი | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |

## I ტაიმის შედეგი

13 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 2007 | შახტარი-ლოკომოტივი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 23.00 | 2008 | გალათასარაი-ცსკა(ს) | 1,75 | 2,4 | 6,5 | 1,01 | 1,37 | 1,75 |
| 23.00 | 2009 | ჟილინა-ჩელსი | 5,3 | 2,3 | 1,95 | 1,6 | 1,42 | 1,05 |
| 23.00 | 2010 | მტკ-სელტიკი | 4,0 | 2,3 | 2,25 | 1,46 | 1,44 | 1,13 |
| 23.00 | 2011 | ვარდარი-სპარტა | 3,8 | 2,15 | 2,45 | 1,37 | 1,48 | 1,14 |
| 23.30 | 2012 | ანდერლეხტი-ვისლა | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 23.30 | 2013 | აუსტრია-მარსელი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 23.30 | 2014 | ბრიუგე-დორტმუნდი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 23.30 | 2015 | გრასჰოპერი-აეკ | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1,53 | 1,29 |
| 23.30 | 2016 | პარტიზანი-ნიუკასლი | 3,3 | 2,15 | 2,8 | 1,3 | 1,51 | 1,21 |
| 23.45 | 2017 | რეინჯერსი-კოპენჰაგენი | 1,95 | 2,3 | 5,3 | 1,05 | 1,42 | 1,6 |
| 23.45 | 2018 | რუსენბორგი-დეპორტივო | 3,2 | 2,15 | 2,9 | 1,28 | 1,52 | 1,23 |
| 24.00 | 2019 | ლაციო-ბენფიკა | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

13 აგვისტო

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 2507 | შახტარი-ლოკომოტივი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2508 | გალათასარაი-ცსკა(ს) | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2509 | ჟილინა-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2510 | მტკ-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2511 | ვარდარი-სპარტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2512 | ანდერლეხტი-ვისლა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2513 | აუსტრია-მარსელი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2514 | ბრიუგე-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2515 | გრასჰოპერი-აეკ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2516 | პარტიზანი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2517 | რეინჯერსი-კოპენჰაგენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2518 | რუსენბორგი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2519 | ლაციო-ბენფიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

13 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.00 | 3007 | შახტარი-ლოკომოტივი | 1,9 | 1,7 |
| 23.00 | 3008 | გალათასარაი-ცსკა(ს) | 1,15 | 4,0 |
| 23.00 | 3009 | ჟილინა-ჩელსი | 6,0 | 1,05 |
| 23.00 | 3010 | მტკ-სელტიკი | 5,0 | 1,1 |
| 23.00 | 3011 | ვარდარი-სპარტა | 5,0 | 1,1 |
| 23.30 | 3012 | ანდერლეხტი-ვისლა | 1,3 | 2,8 |
| 23.30 | 3013 | აუსტრია-მარსელი | 3,1 | 1,25 |
| 23.30 | 3014 | ბრიუგე-დორტმუნდი | 3,5 | 1,2 |
| 23.30 | 3015 | გრასჰოპერი-აეკ | 2,1 | 1,55 |
| 23.30 | 3016 | პარტიზანი-ნიუკასლი | 3,5 | 1,2 |
| 23.45 | 3017 | რეინჯერსი-კოპენჰაგენი | 1,3 | 2,8 |
| 23.45 | 3018 | რუსენბორგი-დეპორტივო | 3,1 | 1,25 |
| 24.00 | 3019 | ლაციო-ბენფიკა | 1,3 | 2,8 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

13 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.00 | 2207 | შახტარი-ლოკომოტივი | 1,6 | 2,0 |
| 23.00 | 2208 | გალათასარაი-ცსკა(ს) | 1,9 | 1,7 |
| 23.00 | 2209 | ჟილინა-ჩელსი | 1,85 | 1,75 |
| 23.00 | 2210 | მტკ-სელტიკი | 1,8 | 1,8 |
| 23.00 | 2211 | ვარდარი-სპარტა | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2212 | ანდერლეხტი-ვისლა | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2213 | აუსტრია-მარსელი | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2214 | ბრიუგე-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2215 | გრასჰოპერი-აეკ | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2216 | პარტიზანი-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2217 | რეინჯერსი-კოპენჰაგენი | 1,85 | 1.75 |
| 23.45 | 2218 | რუსენბორგი-დეპორტივო | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2219 | ლაციო-ბენფიკა | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაგვრუნდება ნაითვლება)

13 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.00 | 2407 | შახტარი-ლოკომოტივი | 1,7 | 2,2 |
| 23.00 | 2408 | გალათასარაი-ცსკა(ს) | 1,35 | 3,2 |
| 23.00 | 2409 | ჟილინა-ჩელსი | 2,6 | 1,5 |
| 23.00 | 2410 | მტკ-სელტიკი | 2,2 | 1,7 |
| 23.00 | 2411 | ვარდარი-სპარტა | 2,2 | 1,7 |
| 23.30 | 2412 | ანდერლეხტი-ვისლა | 1,45 | 2,8 |
| 23.30 | 2413 | აუსტრია-მარსელი | 1,9 | 1,9 |
| 23.30 | 2414 | ბრიუგე-დორტმუნდი | 1,9 | 1,9 |
| 23.30 | 2415 | გრასჰოპერი-აეკ | 1,8 | 2,0 |
| 23.30 | 2416 | პარტიზანი-ნიუკასლი | 2,0 | 1,8 |
| 23.45 | 2417 | რეინჯერსი-კოპენჰაგენი | 1,45 | 2,8 |
| 23.45 | 2418 | რუსენბორგი-დეპორტივო | 2,0 | 1,8 |
| 24.00 | 2419 | ლაციო-ბენფიკა | 1,45 | 2,8 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 აგვისტო | | | | | | | | | | | |
| 21.00 | 2107 | შახტარი-ლოკომოტივი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.00 | 2108 | გალათასარაი-ცსკა(ს) | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.00 | 2109 | ჟილინა-ჩელსი | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 | 3,4 | 25,0 | 12,0 | 2,0 |
| 23.00 | 2110 | მტკ-სელტიკი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,6 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 23.00 | 2111 | ვარდარი-სპარტა | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,6 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 23.30 | 2112 | ანდერლეხტი-ვისლა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.30 | 2113 | აუსტრია-მარსელი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.30 | 2114 | ბრიუგე-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,6 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.30 | 2115 | გრასჰოპერი-აეკ | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,6 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 23.30 | 2116 | პარტიზანი-ნიუკასლი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,6 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 23.45 | 2117 | რეინჯერსი-კოპენჰაგ. | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 2118 | რუსენბორგი-დეპორტ. | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,6 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 24.00 | 2119 | ლაციო-ბენფიკა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |



ლუვრის ფრანგული ფერწერის ერთ-ერთ დარბაზში




„ადიდასის" რეკლამა „ნაპოლეონ I კორონაციის ფონზე"

# ლუვრში ადიდასითა და ფოტოაპარატით

**ბედნიერ** გარემოებათა დამთხვევით პარიზში ორ მნიშვნელოვან საიუბილეო დღეებში მოვხვდი. ერთი საუკუნოვანი საიუბილეო თარიღი მთელს მსოფლიოში უპოპულარესი ტურ დე ფრანსის მრავალდღიანი ველორბოლის დასკვნით ეტაპს დაუკავშირდა, მეორე კი ასევე მსოფლიოში უდიდესი, ლუვრის ცენტრალური ხელოვნების მუზეუმის საზეიმო გახსნის 210 წლისთავს, რომელსაც ეს თარიღი გუშინ შეუსრულდა.

ლუვრზე და მის უმდიდრეს კოლექციაზე იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ თქვენი მონა-მორჩილი ახალს ვერაფერს იტყვის, მაგრამ რაკი დამრგვალებული თარილის დღეებში მიღებულია ისტორიაზე თვალის გადავლება, მეც ლუვრში ჩემს გადარბენას გავიხსენებ, სადაც ანტიკურ სპორტულ თემატიკაზე თუ სპორტთან დაკავშირებულ პიროვნებებზე შექმნილი უამრავი შედევრია დაცული და არც მომდევნო ეპოქებია მივიწყებული.

ერთი სიტყვით, ახლა ლუვრში ვარ და ჟაკ ლუი დავიდის „ნაპოლეონ I კორონაციას" მონუსხულივით შევცქერი.

ნაპოლეონს გვირგვინი ალუმართავს და მზადაა საკუთარი ხელით შეამკოს მის წინ მუხლმოყრილი ჟოზეფინა.

შევცქერი ამ გიგანტურ ფერწერულ ტილოს და მახსენდება „ადიდასის" ერთი მეტად ორიგინალური რეკლამა — „ნაპოლეონ I კორონაციის" ფონზე, მარჯვენა ქვედა კუთხეში ტახტზე ჩამომჯდარ ვაჟს, რადაცით ნაპოლეონს რომ ჩამოჰგავს, მის წინ დაჩოქილი ჟოზეფინას მსგავსი ასევე ახალგაზრდა ქალი ესესა ყუთიდან ამოღებულ „ადიდასის" სპორტულ ფეხსაცმელს აზომებს.

დავიდის ფერწერული ტილო, რომელსაც ავტორი უთვალავი ესკიზის მერე თითქმის ორ წელიწადს ხატავდა, სწორედაც რომ უზარმაზარი ლუვრის შესაფერისია. და არა მხოლოდ მხატვრული ღირებულებით, არამედ გიგანტური ზომებითაც, რაც 54 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

„რა რელიეფია, როგორი დამაჯერებლობა! ეს ფერწერა არ არის, თქვენი სურათის სიღრმეში სიარული შეიძლება — იტყოდა ნაპოლეონი ამ გიგანტური ტილოს ხილვისას" → ვკითხულობთ ლუვრის გზამკვლევში.

გზამკვლევი, ლუვრის გეგმა და სპორტული ფეხსაცმელი კი ნამდვილად საჭიროა მსოფლიოს ამ უდიდესი მუზეუმის დასათვალიერებლად, რასაც, ალბათ, ერთი „ადიდასიც" კი ვერ გაუძლებს.



ძველი ლუვრი ახალი შუშის პირამიდით



„ვენერა"



„ჭაბუკი ბადროს მტყორცნელი"

ოთხ, მათ შორის ერთ ანტრესოლურ სართულზე ექსპონირებულ 400 000 ექსპონატს თუნდაც ექსპრესივით რომ ჩაუქროლოთ, ერთ დღეში მაინც ვერ მოახერხებთ, რადგან, ჩემი გამოანგარიშებით, სულ ცოტა, 30 კილომეტრის დაფარვა მოგიწევთ.

ნაპოლეონ I გამარჯვებათა წყალობით აქ მთელი ევროპიდან მდინარესავით მოედინებოდა და მოედინებოდა ნაალაფარი ხელოვნებათა ნიმუშები. ნაპოლეონი თავისი ძლევამოსილი არმიის მიერ დამარცხებულ ქვეყნებს ხარკის გადახდას ხელოვნების ნაწარმოებებით აკისრებდა. მთელი მსოფლიოდან თავმოყრილი შედევრებიც რომ არ იყოს, თუნდაც თავად ცარიელი ლუვრის დათვალიერება დაგღლით.

მისი ფასადი მდიდრულადაა გაფორმებული საჭრეთლის ცნობილი დიდოსტატების მიერ გამოკვეთილი ქანდაკებებითა და ბარელიეფებით. ასეთივეა ლუვრის ინტერიერიც.

ლუვრის მშენებლობა ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაიწყო. მაშინ ფილიპ-ავგუსტის ბრძანებით სენას გაყოლების იმ მონაკვეთზე, რომელსაც ლუვრი ეწოდებოდა, თავდაცვითი ზღუდე აიგო. XIV საუკუნეში კარლ V ლუვრი სამეფო რეზიდენციად გაიხადა. მან ლუვრი საცხოვრებლად გადააკეთა. ამასთან, მისივე ბრძანებით, სხვა მრავალთან ერთად აშენდა ბიბლიოთეკაც, რის გამოც კარლ V ეპითეტად „ბრძენი" შეარქვეს. მას მერე ლუვრმა მრავალგზის განიცადა რეკონსტრუქცია, ნგრევა, აშენება, გადაკეთება-გადმოკეთება, დაშენება-მიშენება. ამ ფორმირებათა წყალობით იგი უზარმაზარ ფართობზე გადაიჭიმა.

ლუვრს ახსოვს დაცემა და აღზევება, ხანძარი და ფერფლიდან აღორძინება. 1682 წელს სამეფო რეზიდენციის ვერსალში გადასვლის მერე ლუვრი თანდათან ისეთ დღეში ჩავარდა, რომ 1750 წლიდან მის დანგრევაზე სულ უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ. ლუვრი ნგრევას ბაზრებში მოვაჭრე ქალებმა გადაარჩინეს, როცა იმ დღეს, 1789 წლის 6 ოქტომბერს ვერსალში მეფეს მიადგნენ და მთელ სამეფო ოჯახს ლუვრში დაბრუნება აიძულეს.

მას მერე გაგრძელდა ლუვრის გაფართოება-განახლება, სულ ბოლოს კი, უკვე ჩვენს დროში, ჩინური წარმომავლობის ამერიკელმა არქიტექტორმა იეო მინგ პეიმ ვეება გამჭვირვალე შუშის პირამიდა და მისი შედარებით ორი პატარა ტყუპისცალი ააგო, რითაც გრანდიოზული პროექტი განახორციელა — ახალი მიწისქვეშა დარბაზები ეზოს დაუკავშირა.

ლუვრს თავის ბრწყინვალე კედლებში ახსოვს აქ სხვადასხვა დროს არსებული თავდაცვითი ზღუდე, მეფეთა სასახლე, სამეფო განძთსაცავი, არქივი, ბიბლიოთეკა, ფინანსთა სამინისტრო, არსენალი, ციხე, სამხატვრო აკადემია... ლუვრს ახსოვს მის ჭერქვეშ დაბინავებული მხატვრები. ახსოვს იქვე შეხიზნული ათასი ჯურის ხალხიც, მათ შორის ვაჭრებიც, რომლებსაც ლუვრის ვეება ეზოებში, სადაც მოეპრიანებოდათ, დახლებს დგამდნენ.

აქ ხელოვნების ნიმუშების კოლექციას XVI საუკუნეში საფუძველი ჩაუყარა ფრანცისკ I, რომელმაც ამგვარი ნაწარმოებების შეგროვება დაიწყო, რაც დღევანდელი ნიმუშების ბირთვი გახდა. იგი მნიშვნელოვნად შეივსო ორივე ლუდოვიკოს, XIII და XIV ზეობის ხანაში. ლუდოვიკო XIV გარდაცვალების მერე ლუვრი რეგულარული გამოფენათა ადგილი გახდა. ბოლოს, 1793 წლის 10 აგვისტოს ლუვრი დამთვალიერებელთათვის გაიხსნა და მუზეუმად გარდაიქმნა. ლუვრის მუზეუმის განვითარების საქმეში თავისი წილი აგური დადო საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა. 1982 წელს მისი გადაწყვეტილებით ფლორას პავილიონიდან ფინანსთა სამინისტრო გამოასახლეს და ნაგებობათა მთელი კომპლექსი მუზეუმს დაუთმეს.

ახლა ამ მუზეუმს ყოველწლიურად 5 მილიონი კაცი ათვალიერებს. ისინი აქ ტკბებიან ძველეგვიპტური, ძველბერძნული, რომაული, აღმოსავლური, შუა საუკუნეების უმდიდრესი კოლექციით, აგრეთვე თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებით.

ახლა, რაკი ლუვრის ლამის ნახევარმილიონიანი კოლექციის დათვალიერება შეუძლებელი იყო, მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნამუშევრებისა და პროფესიული თვალსაზრისით ჩემთვის საინტერესო ექსპონატებს ფოტოაპარატის ჩხაკუნით ვათვალიერებდი. თუმცა, სასურველზე გაცილებით ნაკლები შევძელი. ეტყობა, აქ ლუვრის სხვა სტუმრებიც ძირითადად ასეთივე გეგმით მოდიან. მათ იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნიმუშების მოსანახულებლად გზამკვლევთან ერთად დარბაზებში გამოკრული მინიშნებებიც ეხმარებათ. მაგალითად, ასეთი — „ჯოკონდა" და იქვე ისარი, რომელიც გზას მიგითითებთ. გზამკვლევში ასეთ შედევრთა შორის „ჯოკონდასთან", „ვენერასთან" და სხვებთან ერთად აღნიშნულია ოლიმპიზმთან დაკავშირებული ნიმუშებიც. მათ შორისაა ანტიკური ხანის უბრწყინვალესი ქანდაკება, გამარჯვების ქალღმერთი, „სამოთრაკიელი ნიკე". ფრანგი პიერ პიუჟეს მიერ გამოძერწილი (1682 წ.) ანტიკური ოლიმპიური თამაშების ექვსგზის, თექვსმეტგზის ისთმიური, ცხრაგზის ნემეური და ექვსგზის პანათენური თამაშების ტრიუმფატორი „კროტონელი მილონი".

ლუვრში ნახავთ ათენას ქანდაკებებსაც, რომელიც არა მხოლოდ ათენის, არამედ პანათენური თამაშების მფარველიც იყო. ნახავთ პერიკლეს ქანდაკებასაც, რომელმაც ათენის ისტორიაში „ოქროს საუკუნეს" მისცა დასაბამი. აქვეა ბორგეზეს „გლადიატორი" და ანტიკური „ბადროსმტყორცნელი ჭაბუკის" მარმარილოს ფიგურებიც; ნახავთ უამრავ ანტიკურ ლარნაკსა და ამფორას, რითაც იმდროინდელ ათლეტებს აჯილდოებდნენ.

ამ კოლექციიდან, როგორც იტყვიან, ცოცხლად, სამწუხაროდ, აქამდე მხოლოდ ერთი მინახავს. ეს გახლავთ ფრანგი ჟან ონორე ფრაგონარის მშვენიერი „პსიქეა და ამური", რომელიც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე კულტურული პროგრამის ფარგლებში მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმების შედევრებთან ერთად გამოფინეს. უცნაური ის იყო, რომ ატლანტაში ლუვრი ამ ერთადერთი ნიმუშით წარსდგა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**პარიზი—თბილისი**

**ავტორის ფოტოები**



ფიალის ფორმის კრატერი ჰერაკლესა და ანთეოსის ბრძოლის გამოსახულებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უარგუმენტო ფაქტი
## კარლოს მოიას ჩოგანი მოექცა



მაიკლ ჩანგი ჩოგანს მალე გადადებს

**WESTERN AND SOUTHERN FINANCIAL GROUP MASTERS**

ცინცინატი. მაგარსაფარი

საპრიზო 2,45 მილიონი $

პირველი წრე

**ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — კარლოს მოია (4, ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:4; **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 4:6, 7:6 (9:7), 6:0; **გილერმო კორია** (6, არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 6:3, 4:6, 6:4; **სხენგ შალკენი** (11, ჰოლანდია) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:4, 6:3; **გრეგ რუზედსკი** (ბრიტანეთი) — ირჟი ნოვაკი (12, ჩეხეთი) 2:6, 7:6 (7:3), 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (13, ჩილე) — ბრაიან ვაალი (აშშ) 7:5, 6:2; **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) — ტომი რობრედო (15, ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:3; **ნოამ ოკუნი** (ისრაელი) — მარტინ ფერკერკი (16, ჰოლანდია) 3:6, 6:3, 6:1; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — ფელიქს მანტია (17, ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:5); **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 7:6 (7:0); **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:4, 6:4

ჯერ მონრეალური მასტერსექო არ მიკარგულა, მსოფლიოს ზეპური ვაჟები უკვე ცინცინატურ ანუ სეზონის მეშვიდე მასტერსტურნირზე რომ ბუქნაობენ.

საქმე მათთან ერთად ჩვენც არ გველევა და მოდით, სანამ საპირველდღეო ამბებს მოვყვებოდეთ, ჯერ საკუთრივ ტურნირისა ვთქვათ. ტურნირი კი, იცოცხლეთ, მასზე ორიოდ სიტყვის თქმას ჰალალად იმსახურებს. და არა მარტო იმიტომ, რომ წლის ცხრა მასტერსტურნირიდან ერთ-ერთია, არამედ იმიტომაც, რომ თავის ისტორიას უშორესი, 1899 წლიდან მოითვლის.

ცინცინატური ტურნირი აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ წლოვანებით მეორე უხნესი ამერიკული ტურნირია და მისი დაარსებიდანვე ისე აეწყო, რომ იქ ჩოგნის გაქნევას ყველა დიადი მოთამაშე პატივადა და ლხენად რაცხდა.

ასეა ამჯერაც. საჩემპიონთარბოლო ქულებისთვის მონადირე ამქარმა მონრეალიდან ცინცინატისკენ თითქმის უდანაკარგოდ გადაინაცვლა. ერთადერთი ბობოლა, ვინაც ამ დასტურ ევროხიბლის ქალაქში გარონიებას ძალების აშშ-ის ღია პირველობისთვის დაზოგვა არჩია, ამქრის 33 წლის პირველოსანი, ანდრე აგასი გახლავთ...

ახლა კი საკუთრივ პირველ დღეს რაც შეეხება. მით უფრო — რომ სათქმელი და გამოსარჩევი ამ დღესაც გვარიანად მოხდა.

უწინარეს გამორჩევას შარშანდელი ჩემპიონის და მაშინ ფინალში ლეიტონ ჰიუიტის მძლეველ კარლოს მოიას გაბუნძულება იმსახურებს.

ნატიფი ესპანელი, ვინაც წინა თვეში ხორვატულ უმაგში გამარჯვების შემდეგ უკვე მესამე ტურნირია, პირველივე წრიდან ვარდება, რანგით მე-60 ფრანგმა ფაბრის სანტორომ აოტა.

არადა, მოიამ პირველი სეტი უპრობლემოდ მიითვალა და საქმესაც ისეთი პირი უჩანდა, მერეც არაფერი უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ყველაფერი პირიქით კი მოხდა. სანტორო უეცრად გადაირია, მოია კი მოულოდნელად მომჩვარდა და გააგრესიულებულ მეტოქეს ერთი არგუმენტიც ველარ შეაგება.

ბრწყინვალე გამარჯვება ფრანგს მით უფრო უნდა გაჰხარებოდა, რომ მთელი სეზონი ტრავმირებული მხრის გამო წაემურდლა.

მოიას კვალს მიჰყვა ტურნირის ორგზის ჩემპიონი, 31 წლის მაიკლ ჩანგი, ვინაც აშშ-ის წლევანდელი ღია პირველობის შემდეგ დიდი ჩოგბურთიდან მიდის და მთელი სეზონის განმავლობაში სწორედ იმ ტურნირებს ემშვიდობებოდა, სადაც თავისი 15-წლიანი სახელოვანი კარიერისას ეჩაუქა.

1989 წლის როლანგაროსობის ჩემპიონი აზიოამერიკელი მის უსაყვარლეს სარბიელს, სადაც 14 მარცხის წილ 41 გამარჯვების მოქუჩება შეძლო, მაროკოელმა ჰიშამ არაზიმ გამოათხოვა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ მთელი ამ თავისი გამოსათხოვარი სეზონის განმავლობაში ჩანგმა მხოლოდ ორად-ორჯერ იმარჯვა, დამარცხებით კი...

თუმცა რა სახსენებელია დამარცხება იმ კაცთან, ტანმომცრობის მიუხედავად ჩოგბურთს ულევი ჯიგრითა და დიდი გულით რომ ემსახურა და ახლა ყველა კორტიდან მდგომელა ოვაციებით აცილებენ.



გილერმო კორია ნიჭს აფრქვევს

სხვაფრივ — კვლავ მწყობრშია მონრეალობას ტრავმის გამო გამოკლებული გილერმო კორია, 21 წლის უნიჭიერესი არგენტინელი, ვინაც სულ ახლახანს ზედიზედ სამი კვირის მანძილზე ზედიზედვე სამი ტიტული მოიხვეჭა.

კორიამ ტიმ ჰენმანს, წინისწინა კვირაში ვაშინგტონურ მაგარსაფარზე თავისი პირველი ამერიკული ტიტულის მომრეწ ბრიტანელს აჯობა.

**ლევან ძელაურაძე**



# გერმანული ბანკი ბოლოგანმა გაიტანა



ვლადიმირ კრამნიკს მხედარი ნაცარში ჩაუვარდა

**მოლდაველი** დიდოსტატის ვიორელ ბოლოგანის გამარჯვებით დასრულდა კვირას დორტმუნდის სუპერტურნირი.

ბოლოგანისთვის წლეულს ეს უკვე მეორე დიდი მონაგარია. ზამთარში მან მოსკოვის „აეროფლოტის" ტურნირზეც იმარჯვა და სწორედ ამ მოგებით მოიპოვა დორტმუნდის საშვი. შემდეგ კი ტიტულმა ტიტული შვა, თან უფრო მსუქანი.

სუპერტურნირის დაწყებამდე ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ეს 32 წლის მოლდაველი მოჭადრაკე იქ მყოფ ბობოლა დიდოსტატებს ვიშვანათან ანანდს, პიტერ ლეკოსა და ვლადიმირ კრამნიკს ასე ადვილად გაუმკლავდებოდა და ამ მსუყე გერმანულ ჯილდოსაც მათ ცხვირწინ ააცლიდა. ტოტალიზატორებმა ბოლოგანის მოგებაზე 35 კოეფიციენტი დააწესეს და თუკი ვინმემ მასზე გარისკა, იცოცხლეთ, მოხსნიდა ბანკს.

მოლდაველმა დიდოსტატმა ტურნირი 6,5 ქულით დაასრულა და ერთი ქულით გადაუსწრო მეორე-მესამე ადგილების გამყოფ კრამნიკსა და ანანდს. 16 წლის თეიმურაზ რაჯაბოვი ხუთი ქულით მეოთხეზე გავიდა, რაც ამ ყმაწვილისთვის ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის.

საკმაოდ უსახურად გამოვიდა ტურნირის შარშან მომგები პიტერ ლეკო. უნგრელმა დიდოსტატმა პარტიაც ვერ მოიგო და ვაივაგლახით შეკოწიწებული ოთხი ქულა, მეხუთე ადგილი და სირცხვილი ერგო.

ბოლო ადგილზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელთა იმედი არკადი ნაიდიჩი გავიდა 3,5 ქულით. ამის მიუხედავად, გერმანელის გამოსვლას მთლად ურიგო არ ეთქმის, რადგან 17 წლის ყმაწვილმა ასეთ დიდოსტატებს 3,5 ქულა ააფცქვნა და კრამნიკთან და ლეკოსთან კი ორ-ორი პარტია ყაიმებთით დაასრულა.

საზოგადოდ, სუპერტურნირზე ათივე ტურმა საინტერესოდ ჩაიარა, დაძაბულობამ კი უფრო მეშვიდე ტურის შემდეგ იმატა, როცა ვიშვანათან ანანდმა ლიდერი ბოლოგანი დაამარცხა. მანამდე მოლდაველი 1,5 ქულით უსწრებდა უახლოეს მდევრებს, ხოლო წაგების შემდეგ კი უპირატესობა ქულამდე შეუმცირდა და ანანდსა და კრამნიკს მისი გადასწრების შანსი მიეცათ. თუმცაღა, მომდევნო ტურებში ლიდერები ერთმანეთთან შეხვედრისას საკმაოდ ფრთხილობდნენ და ამიტომაც იყო, ცხრიდან რვა შეხვედრა ყაიმით რომ დასრულდა. ბოლოგანს კი, ცხადია, ყაიმები ხელს აძლევდა.

ბოლოსწინა, მეცხრე ტურში, წესით, ყველაზე საინტერესო უნდა ყოფილიყო, ძველი და მუდმივი მტრების ლეკოსა და კრამნიკის შეხვედრა, თუმცა...

შავი ფიგურებით მოთამაშე კრამნიკმა თავიდანვე დაცვითი ტაქტიკა აირჩია, ლეკომ კი, რომელსაც უკვე დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, თავდაცვის ნაცვლად ფრონტი გახსნა და ერთი-ორი მასშტაბური შეტევა გაშალა, მაგრამ ვერაფერს გახდა და 21-ე სვლაზე ყაიმზე დაყაბულდა.



ვიორელ ბოლოგანმა ბობოლებს ყურებზე ხახვი დააჭრა

ბოლო, მეათე ტურში ლიდერ-მდევართა შორის მდგომარეობა იგივე იყო და კრამნიკი ბოლოგანს შეხვდა. გამარჯვების შემთხვევაში რუსი დიდოსტატი გამარჯვებული ხდებოდა.

კრამნიკმა თამაში დედოფლის გამბიტით დაიწყო და თავიდანვე ცენტრის დაპყრობას შეუდგა. ბოლოგანმა კი, რომლისთვისაც მთავარი არწაგება იყო, საკუთარი ტერიტორიის გამაგრებას მიჰყო ხელი და პარტია მოწინაალმდეგის იერიშების ჩაშლაში გალია. კრამნიკმა ოთხი საათი იჯახირა, მაგრამ ამაოდ, 38-ე სვლაზე მისთვის სავალალო ყაიმს დასთანხმდა და დორტმუნდის ჯილდოც მეტოქეს გადაულოცა.

დასრულდა სუპერტურნირის პარალელურად მიმდინარე ათმატჩიანი შეხვედრა რუს დიდოსტატ ვლადიმერ ბელიკოვსა და 14 წლის გაგერმანელებულ ქართველ დავით ბარამიძეს შორის. ათი პარტიიდან ბარამიძემ ერთი მოიგო, ექვსი ყაიმით დაასრულა, სამიც დათმო და საბოლოოდ 4:6 დამარცხდა.

# რვა თურქულს გუნდების მერთმა აჯობა

**კვირას** თურქეთში უნგრელ ჭაბუკთა გამარჯვებით დასრულდა 16-წლამდელ მოჭადრაკეთა ოლიმპიადა. ჩვენს ნაკრებს მეხუთე ადგილი შეხვდა. საქართველოს ნაკრებში დაფების მიხედვით თამაშობდნენ: დავით ზარქუა, დავით მაღალაშვილი, თორნიკე სანიკიძე და გიორგი მარგველაშვილი.

საქართველოს ნაკრებმა ოლიმპიადაზე სულ ათი მატჩი გამართა, საიდანაც საბოლოოდ 25 ქულა ამოიღო და 4,5 ქულით ჩამორჩა ოქროსმედალოსან უნგრეთს. ოლიმპიური ვერცხლი უკრაინელებს ხვდათ წილად, ბრინჯაო კი ინდოთა ნაკრებმა მოიგო, რომელთაც ქართველებს 2,5 ქულით გაუსწრეს.

ოლიმპიადაზე 17 ქვეყნის 24 ნაკრები გამოვიდა. მასპინძელმა თურქებმა შეჯიბრებაზე რვა(!) გუნდი გამოიყვანეს. მათგან ყველაზე წარმატებული A ნაკრები გამოდგა, მომელმაც 22 ქულით მეშვიდე ადგილი დაიჭირა.

აღსანიშნავია, რომ ამ ოლიმპიადაზე ქართველ მოთამაშეებს ახლდათ მწვრთნელი ქეთევან მარგველაშვილიც, რაც ბოლო შეჯიბრებებში ფუფუნებად გვექცა ქართველებს.

ქალბატონი ქეთევანი ნაკრების ერთ-ერთი წევრის, გიორგი მარგველაშვილის დედა გახლავთ და, როგორც ჭადრაკის სასახლეში გვითხრეს, ქართველი ჭაბუკები თურქეთში მისი ხარჯებით გამგზავრებულან.

**ლაშა გეგეჭკორი**

# რა დრო დამდგარა!
## ლომუ როკოკოკოს შენატრის

*ახალი ზელანდია უკვე სამი ერის ჩემპიონია, მაგრამ ჯონ მიტჩელის გამოზრდილი „შავები“ ფეხის ფეხზე შემოდებას არ აპირებენ. მსოფლიოს თასამდე მათ კიდევ ერთი ჯილდოს მოგება სურთ. ესაა ავსტრალიელებთან საცილო „ბლედისლოუს თასი“, რომლის ბედი ამ უქმეებზე სამი ერის ბოლო მატჩში გაირკვევა. მერე კი მსოფლიოს თასია, რომლის უპირველესი ფავორიტი ახალი ზელანდიაა, ცხადია, ინგლისთან ერთად*

ახალი ზელანდიელები წლეულს დარჩენილი ორივე ტიტულის მოგებას მათი ზემოიერიშეების ჯონა ლომუს, კრისტიან ქალენის და ენდრიუ მერთენსის გარეშე აპირებენ. დავკონკრეტდეთ, ამ ბრწყინვალე სამეულზე, რომელსაც ნებისმიერი ნაკრები უყოყმანოდ აიყვანდა, „შავების“ ხოტორა მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა თქვა უარი. სხვა დროს და სხვა სიტუაციაში მიტჩელს გიჟად ჩათვლიდნენ და რაგბზე გადარეულ კუნძულებზე შეიძლება ლინჩის წესით გაესამართლებინათ, მაგრამ ახლა „შავების“ ხოტორა თავზე აუგს ვერავინ ამბობს.

მან პენსიაში გასასვლელ მორაგბეებს ახალგაზრდა პროვინციელი ბიჭები ჩაანაცვლა, რომლებსაც სულ ოთხი მატჩი ეყოთ, რათა ვარსკვლავებით გადაჭედილ სარაგბო ცაზე გამოენათებინათ. საუბარია კარლოს სპენსერზე (მე-10 ნომერი), აარონ მეიჯერზე (12), ნონოუ მულიაინაზე (15) და ჯო როკოკოკოზე (11). როგორც ხედავთ, ეს მთელი უკანა ხაზია, „შავებს“ ძველები მხოლოდ გოროზი ტანა უმაგა (13) და ფეხცქვიტი დაგ ჰოულეტი (14) დარჩნენ.

ახალბედებიდან განსაკუთრებით ჯო როკოკოკოს ვარსკვლავი აინთო და თავისი ბრწყინვალებით დაჩრდილა თვით დიდებული ჯონა ლომუ.

როკოკოკო, მულატი, ფიჯიზე დაბადებული 20 წლის ბიჭია, რომელიც წლეულს მიტჩელმა ნაკრებში სამი ერის წინ აიყვანა და ჯოს ბავშვობის კერპის ლომუს 11-ნომრიანი მაისურა ჩააცვა. როკოკოკომ პატივი შეიშნო კი არა, გადააჭარბა კიდეც. ჯერ იყო და სამი ერის პირველივე მატჩში სიდნეიში ავსტრალიას ჰეთ თრიქი უთავაზა, მერე კი ლელო ყოველ მატჩში გაჰქონდა და პროცენტული მაჩვენებლით აქამდე გაუგონარ შედეგს მიაღწია — 6 მატჩში 11 ლელო!

გეხსომებათ ან გაგახსენებთ, რომ ახალზელანდიური რეკორდი ჯონა ლომუს ეკუთვნის — მას 37 ოლიმპიქსური ლელო აქვს გატანილი.

აი, რას ამბობს როკოკოკოზე მისი თანაგუნდელი და „შავების“ ვიცეკაპიტანი ტანა უმაგა — „ჯოს შესაშური სალელოე გეში აქვს. იგი ყოველთვის იქ არის, სადაც საჭიროა. რვა წელია, ნაკრებში ვარ და როკოკოკოზე ნიჭიერ და ამბიციურ კაცს ვერ ვიხსენებ. ის ძალიან სწრაფი, მამაცი და მებრძოლი ბიჭია. ჯო უკვე ვარსკვლავია. თერთმეტნომრიანი მაისურა კარგა ხნით მისია.“

უმაგას, ვისაც ნაკრებში 43 კეპი მოუხვეჭავს და „შავებში“, ვინძლო, კაპიტან რუბენ თორნზეც მეტი ეთქმოდეს, სიტყვა არ დაუძრავს თავის ძმაკაც ჯონა ლომუზე, რომლის 11-ნომრიანი შავი კვართი აცვია როკოკოკოს.

ერთ დროს პლანეტის უპირველესი მთაკაცს კი თუმც სნეული მარჯვენა თირკმელი მალიმალ ახსენებს თავს, კი მაინც არ თმობს მსოფლიოს თასზე თამაშის ოცნებას. ეს ოცნებაც არაა, გამოკვეთილი, ჯიუტი სურვილია, მაგრამ რეალურად მას არც ისე ნათელი შანსები აქვს. ჯონა ლომუ 30-კაცა, ჰა-ჰა, 23-კაცა განაცხადში მოხვდეს, იმის იქით კი როკოკოკოა.

ამ ყველაფრის ფონზე ძალიან პრეტენზიულ განცხადებას აკეთებს ლომუს მენეჯერი ფილ კინგსლიჯონსი: „მჯერა, ლომუ მალევე აღიდგენს ფორმას და ნაკრებში დაბრუნდება. ლომუ უნდა იყოს მოედანზე. მე რომ ფრანგი, ავსტრალიელი ან ინგლისელი ვიყო, მოედანზე ლომუს დანახვაზე მუხლი ამიკანკალდებოდა.“

რა ჩვენი საქმეა, მაგრამ კინგსლიჯონსს ან დაავიწყდა ან არ უნდა შეიგნოს, რომ ლომუ, დიდი ხანია, ლელოების „მანქანა“ აღარ არის, ხოლო სახელების კი დღეს აღარავის ეშინია.

აღდგომა და ხვალეო.

**ბაჩო სვანიძე**




ჯო როკოკოკო კარგა ხნით დამკვიდრდა ჯონა ლომუს ადგილზე

# კიბო, ნავი და კეთილშობილება

ნაკრების კარის ისევ შეჭრიალებაზე ოცნებობს კიდევ ერთი ძველი მორაგბე, მხოლოდ ესაა საფრანგეთის ნაკრები, მოთამაშე კი 30 წლის შუამარბი ტონი მარში გახლავთ. მარშის ოცნება ლომუსაზე რეალურია, ოცნებაც არ ეთქმის, უფრო გეგმაა, რომელიც 30 აგვისტოს ფრანგთა მოსისხლე ინგლისელებთან მარსელში ტესტისას შედგება.

მარში ახლაა არხეინად, თორემ მანამდე ლომუზე მეტად შეშფოთების მიზეზი ჰქონდა, სათესლე ჯირკვლის კიბო დაუდგინეს, მაგრამ ბედად ადრეულად და ახალ ზელანდიაში დაბადებული და საფრანგეთის ნაკრებში 2001 წელს ჩარიცხული ფრანგი იოლად გადაურჩა მკვლელ სენს.

„როდესაც გავიგე, რომ ბერნარ ლაპორტმა ნაკრების შეკრებაზე გამომიძახა, უზომოდ გამიხარდა და ამ კაცის მიმართ მადლიერებით გავივსე. ხომ ვიცი, ნაკრების მწვრთნელი დიდ რისკზე მიდის, ჩემზე ავანსებს რომ გასცემს. ხომ შეიძლება ვერ გავუმართლო და საქმე გავაფუჭო. მაგრამ მე ყველანაირად ვეცდები ძველი ფორმა აღვიდგინო“ — ამბობს მარში.

ამასობაში კი საფრანგეთის ცოტა მოსუსტებული, თუმც მაინც მრისხანე ნაკრები მორჩა შეკრებას ალპურ კურორტ ვალე დაისერეში. ნაკრების მეთაური ბერნარ ლაპორტი იქ ლამის ყაზარმული წესით აცხოვრებდა მოთამაშეებს, კლდეებზე დაუსრულებლად ახეტიალებდა, „სტუმართმოყვარე“ ჩქარ მდინარეზე გასაბერი ნავით „ასეირნებდა“ და ვინ იცის, კიდევ რას არ აკეთებინებდა თავის ჯანიან, მაგრამ მაინც მთებზე მეტად მწვანე მინდვრის მოყვარულ ბიჭებს. ჩემი რაზმი ყოველმხრივ ყოჩაღი ბიჭებისგან უნდა შედგებოდესო — ასეთია ლაპორტის ფილოსოფია.

ნაავადმყოფარი მარში კი ცოტა გაწბილებულია, ცხადია, არა მწვრთნელის რკინის რეჟიმით, არამედ საკუთარი თავით. ის ხშირად უკან რჩებოდა თანაგუნდელებს, მაშინ როცა უწინ მოედანზე პირველი მიიწევდა მეტოქეზე.

**სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს ყოფილ თანამშრომელს გურამ ხელაშვილს**
**დედის**
**გარდაცვალების გამო**





ჰერბ ბრუკსი სრულიად ამერიკას დაიტირა

# ამერიკული ჰოკეი დაობლდა

**მინესოტის** ჩრდილოეთით მომხდარ ავტოკატასტროფაში დაღუპულა ჰოკეის ლეგენდარული ამერიკელი მწვრთნელი, 1980 წელს ლეიკ პლესიდის ოლიმპიადაზე მომხდარი სასწაულის მთავარშემოქმედი ჰერბ ბრუკსი.

„პიტსბურგ პინგვინზი“ — კლუბი, სადაც ბრუკსი ბოლო დროს მოთამაშეთა განვითარების პროგრამის დირექტორად მუშაობდა — იტყობინება, რომ 66 წლის ღვაწლმოსილ სპეციალისტს ფორესტ ლეიკის მახლობლად მოძრაობისას ავტომანქანა გადაბრუნებია.

სწორედ ეს დიადი კაცი იყო მწვრთნელი აშშ-ის იმ, ძირითადად კოლეჯის მოთამაშეებით დაკომპლექტებული ნაკრებისა, რომელმაც 23 წლის წინ ოლიმპიადის ნახევარფინალში სენსაციური მარცხი აგემა იმ დროისთვის უძლეველ საბჭოთა ნაკრებს, ხოლო ორი დღის შემდეგ ფინელთა ძლევით ოლიმპიური ოქროც მოინაგრა.

ნაოლიმპიადევს ნაკრები თეთრ სახლს ეწვია. ჯიმი კარტერმა, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ეს გამარჯვება „არა მხოლოდ ოლიმპიადათა ისტორიის, არამედ საერთოდ სპორტის ერთ ყველაზე გამაოგნებელ მოულოდნელობად“ მონათლა.

პრეზიდენტს არც გაემტყუნებოდა, რაკიღა თამაშებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე „მედისონ სკვერ გარდენში“ გამართული სალაღობო მატჩისას რუსებმა ბრუკსის გუნდი 10:3 შემუსრეს.

იმავის გამეორებას მოელოდა ყველა მათი ნახევარფინალური მატჩის წინაც, ყველა, გარდა თავად ბრუკსისა და მისი ბიჭებისა. დაძაბული შეხლის ბედი მაიკ ერუზიონეს მიერ შეხვედრის მიწურულს გატანილი შაიბით გადაწყდა...

„ჰერბ ბრუკსის გარეშე ეს ბიჭები ამას ვერ გააკეთებდნენ“ — იგონებს ელ მაიკლსი, განთქმული კომენტატორი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, იმ დიადი მატჩის კომენტატორი ყოფილიყო.

ბრუკსივე წვრთნიდა ამერიკელებს შარშანაც, სოლტ ლეიკ სიტის თამაშებზე, სადაც მის შეგირდებს კანადელთა უკან დადგომა მოუხდათ.

ოლიმპიურ საჭესთან ორჯერ ყოფნას შორის ის ნაციონალური ლიგის რამდენიმე გუნდსაც უძღვებოდა. 1981-დან 85-მდე „ნიუ იორკ რეინჯერსის“ მწვრთნელი იყო, 1987-88-ში — „მინესოტა ნორთ სტარსისა“, 1992-93-ში „ნიუ ჯერსი დევილზთან“ იმუშავა, ხოლო მოგვიანებით, 1999-2000-ში — „პიტსბურგთან“.

70-იან წლებში ის წვრთნიდა მინესოტის უნივერსიტეტის გუნდსაც, რომელშიც თავის დროზე თავადაც უთამაშია.

1990 წლიდან ჰერბ ბრუკსი ამერიკული ჰოკეის დიდების დარბაზის წევრია.

„ჰერბ ბრუკსი და ამერიკული ჰოკეი ერთმანეთის ესინონიმებიან. ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, რომ მის გვერდით ყოფნისა და მისგან ყოველდღიურად სწავლის ბედნიერება გვქონდა“ — „პინგვინგთა“ გენერალური მენეჯერის, 1980 წელს ბრუკსის ასისტენტ კრეიგ პატრიკის ამ სიტყვებს დღეს ამერიკაში აურაცხელი ადამიანი ეთანხმება.


**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# პანამის დღე



პანამაში ზეიმის დღეებია. ქვეყანა კოლუმბიისგან დამოუკიდებლობის ასი წლისთავს აღნიშნავს. ამას ეძღვნება დიდი მარათონული გარბენი, რომელშიაც მრავალი ქვეყნის 250 სპორტსმენი მონაწილეობს, და რა თქმა უნდა, ინვალიდებიც.

# ქაბულელი მოზურთალებო

აი, სადამდე მივიდა ნათალიბარი ქაბული. მოწაფე გოგოები ფეხბურთს თამაშობენ, თუმც კი ჯერჯერობით მაინც არა აქვთ უფლება, რომ სპორტული სამოსი მოირგონ. თალიბების დროს კი ქალების კი არა, კაცების ბურთაობაც აკრძალული იყო.





# თამაშის დროს

ასეა ხოლმე მეხიკოში დიდი გუნდების თამაშის დღეს. ფოტორეპორტიორ ეუარდო გუტიერესს თავში მოხვდა „აცტეკას“ სტადიონის ტრიბუნიდან ნასროლი შუშის ბოთლი. საბრალო ჰოსპიტალში გააქანეს, „კრუზ ასულმა“ და „ამერიკამ“ კი თითო გოლი გაცვალეს და უფრო მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს, ვიდრე მათი გულშემატკივრები.

# ამერიკა ვარჯიშობს



ნიუ იორკში, ჯონ ჯეი კოლეჯში შეკრებილია ამერიკის საკალათბურთო ნაკრები, რომელიც საგაისო ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადება. გუნდში სულ ვარსკვლავები არიან, აკლიათ მხოლოდ სასამართლოში გახლართული კობი ბრაიანტი, რომელსაც ვითომ ფეხი ტკივა. ნავარჯიშევი ალენ აივერსონი ნავარჯიშევს ჟურნალისტებს ესაუბრება, ტიმ დანკანი კი მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს. საკვალიფიკაციო ტურნირი 20 აგვისტოს იწყება პუერტო რიკოს დედაქალაქ სან ხუანში.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარხაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge